დანართი №2

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. „ბიზნესის ადმინისტრირების’ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შპს - 

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2024 წლის 2–4 ოქტომბერი

15 ნოემბერი 2024

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების ტიპი | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გეორგ ქუფი, კემპტენის უნივერსიტეტი, გერმანია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ეკა გეგეშიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | დევი შონია, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მედეა ჭელიძე, სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მარიამ ბურმისტროვა, სტუდენტი ექსპერტი, შპს -აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 |
|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მენეჯმენტი | ფინანსები | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი; | საერთაშორისო მარკეტინგი | ბიზნესის ადმინისტრირება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრი | ბაკალავრი | მაგისტრატურა | მაგისტრატურა | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნეს ადმინისტრირე ბის ბაკალავრი მენეჯმენტში | ბიზნეს ადმინისტრირე ბის ბაკალავრი ფინანსებში | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირე ბა | 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება | 0414 მარკეტინგი და რეკლამა | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება | - | - | - | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 40 ECTS კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით | აკრედიტაციის გადაწყვეტილება #74 | აკრედიტაციის გადაწყვეტილება #86 | აკრედიტებული I. 11. 07. 2018; | აკრედიტაციის გადაწყვეტილება #142 | აკრედიტებული გადაწყვეტილება #180 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | 11.07.2018 | 25.07.2018 | გადაწყვეტილება #75<br><br>II. 11.06.2019<br><br>გადაწყვეტილება #123 | 27.06.2019 | 12.09.2019 |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის მიზანი და შედეგები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას. პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ახსნილია და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი მიზნობრივ ჯგუფებთან, მიზნობრივ პროფესიულ სექტორთან და საზოგადოებრივ კონტექსტთან მიმართებაში. ისინი მოიცავს აკადემიურ კვალიფიკაციას, ყოვლისმომცველ დასაქმებას და ასევე სტუდენტის ინდივიდუალური პიროვნების განვითარებას.

საკვალიფიკაციო პროგრამები, რომლებიც კლასტერშია გაერთიანებული, ლოგიკურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით და შემუშავებულია უმაღლესი განათლების VI-VII-VIII დონეების შესაბამისად

ყველა პროგრამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი კარგად არის სტრუქტურირებული, ლოგიკურად დაკავშირებული და შედეგი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. მიღების პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას. კარგია, რომ უნივერსიტეტი აჩვენებს მზაობას აქტუალური და საერთაშორისო ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. სტუდენტთა შეფასება გამჭვირვალე და მოქნილია სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების შეშფოთებას moodle-ის სისტემით და ციფრული ფორმით გამოცდების ჩატარების შესახებ. ყველა სტუდენტი ინფორმირებულია უნივერსიტეტში გამართული კონფერენციებისა და ყველა სახის ღონისძიების შესახებ.

სასწავლო დისციპლინებისა და დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობების საკვალიფიკაციო მიზნები და უნარები, რომლებიც უნდა შეიძინონ სტუდენტებმა, შეესაბამება კურსდამთავრებულთათვის დასახულ დონეს. საბაკალავრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტები ცოდნითა და უნარებით, რათა ჩამოყალიბდნენ მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსად, რომლებიც იმუშავებენ თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი „ბიზნესის ადმინისტრირების“ კლასტერული პროგრამების შესაფასებლად გაიმართა 2024 წლის 2-4 ოქტომბერს. პროგრამების კლასტერის შეფასებისთვის შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც თავმჯდომარეობენ საერთაშორისო ექსპერტი, დარგის ექსპერტები საქართველოდან, ექსპერტი დასაქმების სფეროდან, უმაღლესი განათლების ექსპერტი და სტუდენტი ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფს თან ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორი წარმომადგენელი.

ვიზიტამდე შეფასების პროცესისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი გაზიარებული იყო ექსპერტებთან და ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა გაცვალა თავდაპირველი მიგნებები, გაანაწილა დავალებები და დაგეგმა ვიზიტი.

შეფასების პროცესი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან. დაათალიერეს სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის ბიბლიოთეკა.

ვიზიტი ჩატარდა თანამშრომლობით და ღია გარემოში, რამაც ხელი შეუწყო ექსპერტების მუშაობას. დაწესებულებამ ვიზიტი ძალიან კარგად წარმართა, გუნდის საერთო მზადყოფნა ექსპერტებთან თანამშრომლობისთვის ძალიან დასაფასებელია.

ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია დროულად იქნა მოწოდებული დაწესებულების მხრიდან.

ვიზიტის დასასრულს, თავდაპირველი მიგნებები გაზიარებულ იქნა დაწესებულებასთან.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა 1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 1,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 1,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3. ”საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 1,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 1,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5. ,, ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა VIII საფეხური

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 1,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 1,5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## სტანდარტი 2.

პროგრამა 1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 2 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,4 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 2 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,4 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5. ,, ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 2,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3.

პროგრამა 1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 3 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3.2 არ ეხება

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 3 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3.2 არ ეხება

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5. ,, ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 3,1 - მეტნაწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4.

პროგრამა 1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5. ,, ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა VIII საფეხური

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4,4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5.

პროგრამა 1 ”მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა VI საფეხური

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 “ფინანსების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება, VIII საფეხური

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 5,1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5,2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5,3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები სტანდარტების მიხედვით:

1. რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდად უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას. (3.1)

## რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ”მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა VI საფეხური

2. "მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი). (2,1)

3. რეკომენდებულია კსუ–მ გადახედოს "საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესს" და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში საბოლოო შეფასებასთან ერთად შემოიღოს შუალედური შეფასების კომპონენტი. (2,4)

პროგრამა 2 “ფინანსების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

4. "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია

აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი). (2,1)

5. რეკომენდებულია კსუ–მ გადახედოს "საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესს" და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში საბოლოო შეფასებასთან ერთად შემოიღოს შუალედური შეფასების კომპონენტი. (2.4)

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

არ ეხებ

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

6. პროგრამის აკრედიტაციის მასალების თანახმად, პროგრამის მიზნები შეიძლება უფრო ფართოდ ჩამოყალიბდეს, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს სწავლების დონის კომპეტენცია და უმჯობესი იქნება თუკი მოხდება პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება, რადგან პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს უკეთ შეეძლებათ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა. (1,1)

პროგრამა 5. „ ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

7. პროგრამის მიზნები გადახედვას საჭიროებს. სასურველია პროგრამის მიზნები გადაიხედოს, რადგან მათში არ ჩანს ბიზნესის ადმინისტრირების სფერო და უმჯობესი იქნება თუ პროგრამის მიზნებში აისახება ბიზნესის ადმინისტრირების სფერო. (1,1)

კლასტერის ზოგადი რჩევები სტანდარტების მიხედვით:

1. ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა). (2,1)

2. სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში. (2,2)

3. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის. (2,3)

4. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მონაწილეობას ინსტიტუციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. (3,1)

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1"მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა VI საფეხური

5. სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ოპტიმალურად და მოკლედ ჩამოყალიბდება, რადგან პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა უკეთ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა. (1,1)

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

6. სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ოპტიმალურად და მოკლედ ჩამოყალიბება, რადგან პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა უკეთ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა. (1.1)

7. სასურველია სილაბუსში "მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზაცია და მართვა" 2017 წლის ლიტერატურის ნაცვლად გამოყენებული იქნეს განახლებული, უახლესი ლიტერატურა. (1,5)

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

8. სასურველია, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. (2,1)

9. სასურველია მიეთითოს პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა. (2,1)

10. სასურველია სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სადისერტაციო კომპონენტი (3.1)

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

11. სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი არჩევითი საგნები, როგორიცაა "სტრატეგიული მენეჯმენტი", "სტრატეგიული მარკეტინგი", "მარკეტინგული არხების მართვა". (1,5)

12. სასურველია, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. (2,1)

13. სასურველია მიეთითოს პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა. (2,1)
14. სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სადისერტაციო კომპონენტი. (3,1)

პროგრამა 5. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

15. სასურველია, დაზუსტდეს, სად განთავსდება ინფორმაცია პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების შესახებ (მაგალითად, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებგვერდზე), რათა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს გაუმარტივდეთ გადაწყვეტილების მიღება. (2,1)

16. სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები და დამყარდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმები, რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად განავითარონ პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშესრულებლო და ტრანსფერული უნარები. (2,2)

17. სადოქტორო პროგრამის მოქმედი დებულებით ეს კარგი მონაცემია, მაგრამ ახალი დებულებით ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანება , 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად) შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული გამოწვევები. უმჯობესი იქნება, თუ კსუ დაიჭერს თადარიგს და განიხილავს აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდის საკითხს სადოქტორო პროგრამაზე. თუკი სადოქტორო პროგრამა კვლავ ასეთი მოთხოვნადი დარჩება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანება , 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. (4,1)
18. სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სადისერტაციო კომპონენტი. (3,1)

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[1]

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ამ მიმოხილვის საფუძველზე, არსებული რეკომენდაციები და რჩევები არ შეცვლილა ან ამოღებულა.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა აკრედიტაციიდან მიღებული ყველა რჩევა განხორციელებულია. შეიქმნა ახალი სასწავლო კურსის პროგრამები.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[2]
2. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[3]

| სტანდარტის კომპონენტი: | შეფასების მეთოდები: |
|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |

[2] შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[3] შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის კლასტერში გაერთიანებულია ხუთი პროგრამა, კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები დეტალურად არის შემუშავებული სწავლის სფეროს სპეციფიკური შინაარსის გათვალისწინებით. ეს პროგრამები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების VI-VII-VIII დონეების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ შორის ლოგიკურ პროგრესიას. თითოეულ პროგრამას აქვს განსხვავებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც თანმიმდევრულად არის ურთიერთდაკავშირებული. ეს მიზნები შემუშავებულია უნივერსიტეტის ზოგადი მისიის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული ღირებულებებით აღჭურვილი და როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი თაობის აღზრდას. ისინი ასევე შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და საერთო ხედვას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (კსუ) შეიმუშავა ხუთი ურთიერთდაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც გაერთიანებულია კლასტერში მენეჯმენტის, ფინანსების, საერთაშორისო ბიზნესის, საერთაშორისო მარკეტინგისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით VI, VII და VIII კვალიფიკაციის დონეებზე. ეს პროგრამები მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში სპეციალიზებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები თავსებადია ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც წარმოადგენს აკადემიურ სტანდარტს და განსაზღვრავს მინიმალურ

სწავლის შედეგებს, რომლებიც საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საბაკალავრო (VI დონე) და სამაგისტრო (VII დონე) პროგრამების წარმატებით დასრულებისთვის. იგი ასევე განსაზღვრავს სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რომლებიც აუცილებელია ამ შედეგების მისაღწევად. დარგობრივი მახასიათებელი დეტალურად აღწერს ცოდნას, უნარებს, ასევე პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის დონეებს, რომელიც სტუდენტებმა უნდა განავითარონ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის პერიოდში.

თითოეულ პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული და მიღწევადი მიზნები, რომლებიც შეესაბამება კსუ-ს სტრატეგიულ მისიას - ხელი შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და მოამზადოს კურსდამთავრებულები კონკურენტულ გლობალურ და ადგილობრივ შრომის ბაზრებზე წარმატების მისაღწევად. მიზნები ასახავს როგორც კსუ-ს სწრაფვას აკადემიური სრულყოფილებისკენ, ასევე მის მზაობას ეფექტურად უპასუხოს ინდუსტრიის თანამედროვე გამოწვევებსა და პრაქტიკულ საჭიროებებს. მიზნები პრაქტიკული და მიღწევადია კსუ-ს პროგრამების სტრუქტურირებული დიზაინის წყალობით, რომელიც მოიცავს საჭირო რესურსებსა და სრულყოფილ შინაარსს.

სწავლის შედეგები თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა მიღწევაც მოეთხოვებათ კურსდამთავრებულებს სასწავლო პროგრამა სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ თანდათანობით განავითაროს სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული ექსპერტიზა თითოეულ დისციპლინაში, მათ შორის სპეციალიზებული კურსების, სტაჟირებებისა და კვლევითი პროექტების საშუალებით. ეს სწავლის შედეგები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ თავიანთი ცოდნის გამოყენება სხვადასხვა ორგანიზაციულ გარემოში.

ყველა პროგრამა შეესაბამება კსუ-ს მისიას - აღზარდოს თაობა, რომელიც მზად იქნება წარმატებისთვის დემოკრატიულ საზოგადოებებსა და კონკურენტულ შრომის ბაზრებზე. ეს პროგრამები წარმოადგენს კსუ-ს უფრო ფართო მიზნების - საგანმანათლებლო ხარისხის, ინტერნაციონალიზაციისა და პრაქტიკული უნარების განვითარების გაგრძელებას. ისინი შეესაბამება კსუ-ს სტრატეგიულ მიზნებსა და ფაკულტეტის სამოქმედო გეგმებს, რაც აძლიერებს კსუ-ს როლს საქართველოში ბიზნეს განათლების განვითარებაში.

კსუ-მ ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც დაადასტურა ბიზნესისა და ფინანსების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამების მიზნები ითვალისწინებს ისეთი პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილნი არიან შესაბამისი, მოთხოვნადი უნარებით, რომლებიც აკმაყოფილებენ დამსაქმებელთა მოლოდინებს და ერგებიან გლობალური ბიზნესის ტენდენციებს, მათ შორის ციფრული ფინანსებისა და საერთაშორისო მარკეტინგის ცოდნას.

თითოეული პროგრამა მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. მაგალითად, საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს მულტინაციონალურ ორგანიზაციებში მუშაობისთვის, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობაზე, რაც მეცნიერებს ამზადებს გლობალურ აკადემიურ დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამები და მათი მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია კსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით და გაზიარებულია სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, კსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აფასებს და აახლებს პროგრამებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე, რათა შეინარჩუნოს გამჭვირვალობა და უზრუნველყოს შესაბამისობა როგორც აკადემიურ, ისე ინდუსტრიულ სტანდარტებთან.

### პროგრამა 1. „მენეჯმენტის' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI დონე

„მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა მნიშვნელოვანია საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისა და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გათვალისწინებით. პროგრამა მხარს უჭერს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების, კერძო სექტორის გაძლიერებისა და სწრაფი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ძალისხმევას. დამსაქმებელთა ცვალებადი მოთხოვნები, ბიზნეს სექტორის დინამიური ბუნება და ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის მზარდი მნიშვნელობა ხაზს უსვამს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საჭიროებას. ამ სპეციალისტებისგან მოელიან სხვადასხვა სიდიდისა და სტრუქტურის მქონე ორგანიზაციებში ბიზნესპროცესების ეფექტურად მართვას, საქმიანობის სრულყოფასა და წარმატების მიღწევაში აქტიური წვლილის შეტანას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

მისცეს სტუდენტს:

- მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და განუვითაროს პროფესიული კარიერისთვის საჭირო უნარები;
- ახალი ბიზნესის დაწყებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისთვის საჭირო ცოდნა;
- უზრუნველყოს ისეთი ცოდნით, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს ორგანიზაციის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა მინიმალური ზედამხედველობის პირობებში;
- აღჭურვოს სტუდენტი კომუნიკაციისა და კრიტიკული ანალიზის უნარებით, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის წარმატებულ რეალიზაციას მომავალ პროფესიულ საქმიანობაში;
- განუვითაროს კურსდამთავრებულს სოციალური, ეთიკური და მორალური ღირებულებების პატივისცემა;
- მოამზადოს კურსდამთავრებულები სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობისთვის. ასევე, სწავლის გაგრძელება ბიზნესის ადმინისტრირების ან სხვა მონათესავე სფეროების სამაგისტრო პროგრამებზე.

პროგრამის მიზნების რეალიზაციის საფუძველზე მომზადდება მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მენეჯერი და ეფექტური ლიდერი.

კურსდამთავრებული შეძლებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ოპტიმალურად მართოს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს პროცესები და ორგანიზაციები, რაშიც მას დაეხმარება ბიზნესის მართვის საქმიანობის სფეროში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელსაც იგი შეიძენს მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყნის სპეციფიკის შესწავლის გზით.

პროგრამის მიზნების გადახედვის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კარგია, მაგრამ შეიძლება უფრო მოკლედ ჩამოყალიბდეს, და კარგი იქნება თუ პროგრამის მიზნები ოპტიმიზირდება და უფრო მოკლედ ფორმულირდება, რადგან პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს უკეთ შეეძლებათ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.

### პროგრამა 2 „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI დონე

„ფინანსების" საბაკალავრო პროგრამა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს მზარდი ინტეგრაციისა და ქვეყნის შიგნით საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების განვითარების გამო. ბიზნესისა და ფინანსების სექტორების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა დამსაქმებელთა მოთხოვნები და საქართველოს ფინანსური სისტემების დახვეწის საჭიროება. ეს პროგრამა პასუხობს ამ გამოწვევებს კონკურენტუნარიანი ფინანსური სპეციალისტების მომზადებით, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრების სირთულეებში გარკვევა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნი:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე და შეძლებს:

- ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში გაიაზროს ბიზნესსა და ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები და პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა;
- გაიგოს, გააანალიზოს, შეაფასოს და ადეკვატურად განსაზღვროს ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების პრიორიტეტები, ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნები და შეიმუშაოს ფინანსური სტრატეგია კომპეტენციის ფარგლებში;
- გააანალიზოს და შეაფასოს ფინანსურ სექტორში მიმდინარე პროცესები, გამოავლინოს არსებული პრობლემები და დაასაბუთოს მისაღები ფინანსური გადაწყვეტილებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- შეადგინოს ფინანსური ანგარიშგებები და მართოს ფინანსური ნაკადები ბიუჯეტირების საფუძველზე, შეიმუშაოს და განახორციელოს ბიზნეს პროექტები;
- გაზრდილი კონკურენციისა და ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ჩამოყალიბდეს ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტად, რომელსაც შეეძლება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და კარიერის წარმატებით განვითარება.

პროგრამის მიზნების რეალიზაციის საფუძველზე მომზადდება ფინანსების მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით წარმატებით განახორციელებს საქმიანობას ფინანსური, საბანკო, საგადასახადო და სადაზღვევო სისტემების დაწესებულებებში.

პროგრამის კურსდამთავრებული შეიძენს ფინანსების სფეროში მუშაობისთვის საჭირო კომპეტენციებს, დამოუკიდებლად განსაზღვრავს სამომავლო საგანმანათლებლო საჭიროებებს, განივითარებს

დამოუკიდებელი კვლევის უნარებს, გააგრძელებს სწავლას მაგისტრატურის საფეხურზე და შეინარჩუნებს ცოდნასა და უნარებს.

პროგრამის მიზნების გადახედვის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კარგია, მაგრამ შეიძლება უფრო მოკლედ ჩამოყალიბდეს, და კარგი იქნება თუ პროგრამის მიზნები ოპტიმიზირდება და უფრო მოკლედ ფორმულირდება, რადგან პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს უკეთ შეეძლებათ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.

### პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - VII დონე

„საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში სრული ინტეგრაციის საჭიროებით. საერთაშორისო ბიზნესში სწრაფი განვითარება, გლობალიზაციის ტენდენციებთან ერთად, აუცილებელს ხდის ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ გლობალური ბაზრების გამოწვევებთან გამკლავება. ეს პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს საერთაშორისო ბიზნეს პროცესების მართვის, ორგანიზაციული საქმიანობის ოპტიმიზაციისა და დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტებს ღრმა ცოდნა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მიღწევებსა და მიდგომებს გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის მართვის თანამედროვე ტენდენციების შესახებ, რაც დაეხმარება მათ სწრაფად მზარდი გლობალური ბიზნესის სამყაროში ნაბიჯების გადადგმაში.
- პროგრამის მიზანია განავითაროს თანამედროვე გლობალური ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ბიზნეს პროცესების მართვის უნარები და კომპეტენციები, რაც დაეხმარება მათ დასაქმებაში გლობალურ შრომის ბაზარზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული.

### პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - VII დონე

საერთაშორისო ვაჭრობისა და ბიზნეს პროცესების განვითარებასთან ერთად, საქართველოს შესაძლებლობა გამოიყენოს ეს შესაძლებლობები დამოკიდებულია ბაზრების კონკურენტული პროდუქტებით შევსების უნარზე. ამ სფეროში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საერთაშორისო მარკეტინგში კვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობა. ეს პროგრამა შექმნილია აღნიშნული საჭიროების დასაკმაყოფილებლად და სტუდენტებს აძლევს ცოდნასა და უნარებს ისეთი მარკეტინგული სტრატეგიების შესამუშავებლად, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს პროდუქტების საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებულ პოზიციონირებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

პროგრამის მიზანია:

შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე, მოამზადოს და აღზარდოს კონკურენტუნარიანი მარკეტინგის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება მარკეტინგის პროფესიისთვის საჭირო ახალი ცოდნით, პრაქტიკული უნარებითა და კომპეტენციებით.

პროგრამის აკრედიტაციის მასალების მიხედვით, პროგრამის მიზნები შეიძლება უფრო ფართოდ ჩამოყალიბდეს, სწავლების დონის კომპეტენციის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად, და კარგი იქნება თუ პროგრამის მიზნები ხელახლა ფორმულირდება, რადგან პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს უკეთ შეეძლებათ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.

### პროგრამა 5. ~ ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამა VIII საფეხური ;

დღევანდელ, სულ უფრო კომპლექსურ გლობალურ ბიზნეს გარემოში, იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მკვლევარებზე, რომლებსაც შეუძლიათ ახალი ცოდნის გენერირება და დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა შექმნილია ისეთი მკვლევარების აღსაზრდელად, რომლებსაც შეუძლიათ ინოვაციური, მაღალი ხარისხის კვლევების ჩატარება. ეს მკვლევარები შექმნიან ღირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომლის გაზიარებაც შესაძლებელი იქნება როგორც აკადემიური საზოგადოებისთვის, ისე ბიზნეს სექტორისთვის.

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების მიზანია:

მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევარი, რომელიც:

- დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ მაღალი ხარისხის ინოვაციურ კვლევებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით;
- აკეთებს თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე ორიგინალურ დასკვნებს;
- კვლევის შედეგად დაგროვებულ ახალ, ინოვაციურ ცოდნას გადასცემს და უზიარებს სამეცნიერო საზოგადოებასა და ბიზნეს სექტორს;
- აქტიურად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით გადასცემს ცოდნას საუნივერსიტეტო და სხვა საგანმანათლებლო საზოგადოებას.

პროგრამის მიზნები საჭიროებს გადახედვას, კარგია, მაგრამ არ არის ნაჩვენები ბიზნესის ადმინისტრირების სფერო, და კარგი იქნება თუ პროგრამის მიზნები გადაიხედება და მიზანში ნაჩვენები იქნება ბიზნესის ადმინისტრირების სფერო.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის მისია
- ● ინტერვიუს შედეგები
- ვებ-გვერდი https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1"მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაVI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ოპტიმალურად და მოკლედ ჩამოყალიბდება, რადგან პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა უკეთ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ოპტიმალურად და მოკლედ ჩამოყალიბება, რადგან პროგრამის დაინტერესებულმა მხარეებმა უკეთ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

რეკომენდაციები:

- პროგრამის აკრედიტაციის მასალების თანახმად, პროგრამის მიზნები შეიძლება უფრო ფართოდ ჩამოყალიბდეს, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს სწავლების დონის კომპეტენცია და უმჯობესი იქნება თუკი მოხდება პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება, რადგან პროგრამის დაინტერესებულ მხარეებს უკეთ შეეძლებათ პროგრამის სპეციფიკური ასპექტების აღქმა.

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. “ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნები გადახედვას საჭიროებს. სასურველია პროგრამის მიზნები გადაიხედოს, რადგან მათში არ ჩანს ბიზნესის ადმინისტრირების სფერო და უმჯობესი იქნება თუ პროგრამის მიზნებში აისახება ბიზნესის ადმინისტრირების სფერო.

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში (VII საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (VIII საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრირების კლასტერული საგანმანათლებლო პროგრამები თავიანთ სწავლის შედეგებს შესაბამისობაში მოჰყავთ პროგრამის მიზნებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციების შეძენას. სწავლის შედეგები შემუშავებულია თანამშრომლობით, არის გაზომვადი და შექმნილია მენეჯმენტის, ფინანსების, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის, საერთაშორისო მარკეტინგისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროებში ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებისთვის.

თითოეული პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის განსაზღვრულ მიზნებს და მოიცავს ბიზნესთან დაკავშირებული კარიერისთვის საჭირო აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად და

ასახავს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მზაობას შემდგომი სწავლისა და პროფესიული როლებისთვის.

სწავლის შედეგები შემუშავებულია როგორც რეალისტური და მიღწევადი, ასახავს დარგობრივ სტანდარტებს, რომლებიც შექმნილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) საფუძველზე პროგრამის თითოეული დონისთვის, საბაკალავროდან სადოქტოროს ჩათვლით. პროგრამები შექმნილია სისტემატურად დაეხმაროს სტუდენტებს ამ შედეგების მიღწევაში თანმიმდევრული სასწავლო კურსის პროგრესისა და პრაქტიკული გამოცდილების საშუალებით.

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ კვალიფიკაციის დონეებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მიერ ისეთი კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც აკმაყოფილებს როგორც აკადემიურ, ისე საბაზრო მოთხოვნებს საქართველოსა და გლობალურ დონეზე. კურსები ორგანიზებულია ცოდნის პროგრესულად გაღრმავებისა და კვლევასა და პრაქტიკულ გამოყენებაში ავტონომიურობის განვითარებისთვის.

დასაქმების ბაზრის კვლევები აჩვენებს მოთხოვნას ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, საერთაშორისო ბიზნესისა და მარკეტინგის პროფესიონალებზე. პროგრამები პასუხობს ამ მოთხოვნებს კურსდამთავრებულების აღჭურვით მიზნობრივი უნარებით ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების სფეროში შესასვლელად და უზრუნველყოფს ფუნდამენტურ კომპეტენციებს შემდგომი განათლებისთვის.

სწავლის შედეგები შემუშავდა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების თანამშრომლობით, რაც უზრუნველყოფს მათ რელევანტურობასა და გამოყენებადობას. ეს პროცესი აუმჯობესებს შედეგებს როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საზოგადოებების უკუკავშირის გათვალისწინებით. ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ.

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები თანმიმდევრულად არის შემუშავებული სირთულისა და სიღრმის ზრდის ასახვით. თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე პროგრამის შედეგები ეფუძნება წინა კომპეტენციებს, რაც ხელს უწყობს ლოგიკურ გადასვლას საბაკალავრო პროგრამების საბაზისო ცოდნიდან სადოქტორო კვლევების უმაღლეს დონემდე.

პროგრამის შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და შეესაბამება ყველა დაინტერესებული მხარის - სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების მოლოდინებს.

ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის განმახორციელებელი ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დარგის სპეციალისტები და დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, მათ შორის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრაში.

## პროგრამა 1. საბაკალავრო პროგრამა მენეჯმენტი - VI დონე

საქართველოში საბაკალავრო პროგრამის რელევანტურობა მენეჯმენტში განპირობებულია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესებით, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებითა და საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების შექმნით, საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობით, კერძო სექტორის გაძლიერებითა და სწრაფი განვითარებით.

დამსაქმებელთა მოთხოვნები, ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებში ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის გაზრდილი როლი, ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევები და სხვადასხვა ზომისა და სტრუქტურის ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლების საჭიროება, მოითხოვს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც შეეძლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს პროცესების მართვისა და ბიზნეს საქმიანობის ოპტიმიზაციისკენ მიმართულ პროექტებში, სწორი მენეჯმენტითა და წარმატებული პრაქტიკული საქმიანობით ხელი შეუწყოს ორგანიზაციის ეფექტიანობას სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში.

### პროგრამა 2 „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI საფეხური

საქართველოში „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამის აქტუალობა განპირობებულია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციით; საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების შექმნით; ბიზნესისა და ფინანსების სფეროში მიმდინარე პროცესებით; დამსაქმებელთა მოთხოვნებით; საქართველოს ფინანსური პოლიტიკისა და ფინანსური სისტემის გაუმჯობესებით; გლობალური ბიზნეს გარემოს გავლენით საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე; საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის საჭიროებით და, შესაბამისად, ამ პროცესებში ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსებისა და საბანკო სექტორის გაზრდილი როლით, რაც მოითხოვს ისეთი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც შეეძლება:

- ფინანსური პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობა;
- საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში კომპანიის ფინანსური ეფექტიანობის ამაღლება;
- ორგანიზაციაში მოგების მიღების ხელშეწყობა;
- წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება ფინანსურ-საკრედიტო და საბანკო დაწესებულებებში.

### პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა - VII საფეხური

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობა საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტში განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორიცაა:

- საქართველოში საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სრული ინტეგრაციის საჭიროება;
- თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესები;
- საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფი განვითარება;

- საქართველოში ბიზნეს პროცესების გაძლიერება და ინტერნაციონალიზაცია;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ხელშეწყობის საჭიროება;
- ეროვნული ბიზნესის წინაშე მდგარი გლობალური გამოწვევები და ამ პროცესებში საერთაშორისო ბიზნესის მართვის გაზრდილი როლი.

ყოველივე ეს, თავის მხრივ, განაპირობებს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების საჭიროებას, რომლებსაც შეეძლებათ საერთაშორისო ბიზნესის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის წარმატებულად მართვა, საერთაშორისო ბიზნეს პროცესების თავისებურებების გათვალისწინება და სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებებით ბიზნეს საქმიანობის ოპტიმიზაცია, წარმატებული საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებში და ა.შ.

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - VII დონე

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ბიზნეს პროცესების, ვაჭრობისა და გაცვლის მოცულობა მუდმივად იზრდება. საქართველო, როგორც თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებთან და გარკვეულ ეკონომიკურ სისტემასთან ჰარმონიაში მოქმედი ქვეყანა, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თავისი საქონლით შეავსოს ის ბაზრებიც, რომლებიც ტრადიციულად მას ეკუთვნოდა. სად უნდა ვეძებოთ საქართველოს შედარებით მცირე საექსპორტო პოტენციალის მიზეზი, თუ არა საერთაშორისო მარკეტინგის სპეციალისტების ნაკლებობაში, რაც თავისთავად აფერხებს მრავალი პრობლემის გადაჭრას.

საერთაშორისო მარკეტინგი, როგორც ბიზნესის ადმინისტრირებისა და განსაკუთრებით მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვედარგი, ორიენტირებულია შექმნას და განავითაროს კონცეპტუალური მოდელები, სტრატეგიები და ტაქტიკური მიდგომები, რომლებიც აკავშირებს სხვადასხვა ბაზრებს ერთი ქვეყნის, რეგიონის კომერციული ფასეულობების სხვა ქვეყნებისა და რეგიონების ფინანსურ ფასეულობებთან მომგებიანი გაცვლის მიზნით ისე, რომ შეიქმნას დამატებითი ღირებულება.

საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიის რეგიონში არსებული დიდი ტექნიკური, ტექნოლოგიური, სავაჭრო და პიროვნული პოტენციალის გათვალისწინებით, საერთაშორისო მარკეტინგი, როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო დარგი, შექმნის და განავითარებს საერთაშორისო გაცვლის დაგეგმვისა და მართვის ისეთ მარკეტინგულ მოდელებს, რომლებიც გზას გაუხსნის ეროვნულ პროდუქტს საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებისთვის. საერთაშორისო მარკეტინგი ასევე გარდაქმნის ეროვნულ აზროვნებას, განსაკუთრებით კომერციული თვალსაზრისით, საერთაშორისო ვაჭრობისთვის მისაღები ფორმით და საბოლოოდ, უზრუნველყოფს ეროვნული ბრენდების საერთაშორისო ბრენდებად გარდაქმნას.

პროგრამა 5. „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა VIII საფეხური;

21-ე საუკუნეში მსოფლიოს სწრაფი გლობალიზაციის გამო, ბიზნესი ხდება სულ უფრო მასშტაბური და კომპლექსური, მეტი ადამიანური, ფინანსური და არაფინანსური რესურსებითა და უფრო ფართო

გეოგრაფიული საზღვრებით. თანამედროვე ბიზნესის განვითარების ტენდენციების მრავალფეროვნება უაღრესად აქტუალურს ხდის მაღალკვალიფიციური მეცნიერ-ანალიტიკოსების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ ღრმა ცოდნა და გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, შეუძლიათ მონაცემების ანალიზი, უნიკალური იდეების გენერირება, დაგროვილი ცოდნისა და ინოვაციური იდეების პრაქტიკაში დანერგვა და მათი ეფექტური გავრცელება სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებაში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური მეცნიერი მაღალი მოთხოვნით სარგებლობს თანამედროვე შრომის ბაზარზე.

მოწოდებული დოკუმენტაციის, ვიზიტისა და პანელური ინტერვიუების საფუძველზე მიღებულ იქნა დასტური, რომ პროგრამების სწავლის შედეგები, რომლებიც კლასტერად არის დაჯგუფებული, ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებსა და დარგის სპეციფიკას. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის მისია
- გასაუბრების შედეგები
- ვებ-გვერდი https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1"მენეჯმენტის საბაკალავრო" საგანმანათლებლო პროგრამაVI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 “ფინანსების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. “ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა ფინანსებში (VI საფეხური) | | | | |
| პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, შეფასების ციკლი მოიცავს შესაბამისი მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, და შეფასების შედეგების გამოყენებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყოველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ერთობლივად აფასებენ პროგრამის სწავლის შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ამ მიზნით შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი იწყება სასწავლო გეგმის ანალიზითა და სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან რუკის შედგენით. კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის შემუშავებულია კურიკულუმის რუკები, სადაც პროგრამის კომპონენტები დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, შეფასების პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო საფეხურის თავისებურებებს. კლასტერი მოიცავს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამებს, და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა შეესაბამება განათლების საფეხურს, მათ შორის განათლების თითოეულ საფეხურზე სწავლის წლებს.

უნივერსიტეტს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებული აქვს ინსტიტუციური პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მეთოდოლოგია, რომელიც დეტალურია და შეიძლება კარგად გამოდგეს როგორც სახელმძღვანელო პერსონალისთვის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას. მეთოდოლოგია აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლის ეტაპებს, მათ შორის კურიკულუმის რუკის შემუშავებას, როგორც ზემოთ არის აღწერილი, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის, მიდგომების ან შეფასების ინსტრუმენტების განვითარებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების საჭიროებას, სადაც პირდაპირ მეთოდებად დასახელებულია ტესტები, გამოცდები და ა.შ., ხოლო არაპირდაპირ მეთოდებად - მაგალითად, სტუდენტთა თვითშეფასება, დამსაქმებელთა შეფასება და ა.შ.

მეთოდოლოგიის საფუძველზე, ასევე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის. გარდა ზემოაღნიშნული და აღწერილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიისა, არსებობს ინდივიდუალური პროგრამებისთვის შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდივიდუალური მექანიზმები, რომლებიც ასევე წარმოდგენილია დაწესებულების მიერ. მექანიზმები მიუთითებს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამოყენებულ პირდაპირ მეთოდებს. სასურველია მექანიზმში ასევე ჩაირთოს კონკრეტული არაპირდაპირი მეთოდებიც, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ სწავლის შედეგზე. ეს პროგრამის სწავლის შედეგების გეგმასა და მექანიზმს უფრო კონკრეტულს, დეტალურსა და ყოვლისმომცველს გახდის. სადოქტორო პროგრამის შეფასების მექანიზმები ასევე აღნიშნავს, რომ სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში გამოიყენება თითოეული კვლევითი კომპონენტის ინდივიდუალური შეფასება, მაშინ როდესაც სადოქტორო პროგრამა იყენებს კვლევითი კომპონენტის შეფასებას მთლიანობაში, როდესაც დოქტორანტი ასრულებს მუშაობას დისერტაციაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში განვითარების დონეების მიხედვით: A (შესავალი), B (გაღრმავება) და C (განმტკიცება) სწავლის შედეგების ეფექტური მონიტორინგისთვის შერჩეულია მხოლოდ ის კურსები, სადაც სწავლის შედეგები აღწევს განმტკიცების დონეს.

სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვებს; კურიკულუმის ანალიზს; და მსგავს პროგრამებთან შედარებით ანალიზს. პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს და აანალიზებს ამ გამოკითხვების შედეგებს, აგვარებს გამოვლენილ პრობლემებს. აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან როგორც სწავლის შედეგების, ისე შინაარსისა და შეფასების მეთოდების ეფექტურობის შეფასებაში.

პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებასა და მათი შედეგების ანალიზს.

შეფასების ინსტრუმენტები სწავლის შედეგების შესაფასებლად მოიცავს სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა დახურული და ღია კითხვები, თეორიული გამოკითხვები, აბსტრაქტების პრეზენტაციები, პრაქტიკული დავალებები, დამოუკიდებელი საშინაო დავალებები, პროექტების პრეზენტაციები, საბაკალავრო ნაშრომები, სამაგისტრო ნაშრომები და დისერტაციები. პროგრამის თითოეული კომპონენტი აზუსტებს შეფასების კონკრეტულ ფორმებს, რომლებიც გამოიყენება სწავლის შედეგების დასადასტურებლად.

სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორები, შეფასების სამი დონით: "ვერ აკმაყოფილებს", "მეტწილად აკმაყოფილებს" და "აკმაყოფილებს". პირდაპირი შეფასებების განსახორციელებლად, პროგრამის განმავითარებელმა გუნდმა გამოავლინა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კურსები, რადგან ისინი მთავარ როლს ასრულებენ ამ შედეგების განმტკიცებაში.

მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად ზემოხსენებული მეთოდების გამოყენებით, და შეფასების შედეგები განსაზღვრავს განვითარებისა და რეაგირების დაგეგმვის შემდგომ ეტაპებს. თუ ორი თანმიმდევრული შეფასება აჩვენებს მნიშვნელოვან გადახრებს სამიზნე დიაპაზონიდან, ხდება სწავლის შედეგებისა და მათთან დაკავშირებული სტრატეგიების გადახედვა, რაც შეიძლება მოჰყვეს ცვლილებები:

- კრედიტების ან საათობრივ განაწილებაში,
- სწავლება-სწავლის მეთოდებში,
- შინაარსობრივ თემებსა და მოცულობაში,
- შეფასების ფორმებსა და მეთოდებში,
- სავალდებულო ლიტერატურაში,
- კურსის ორგანიზებაში.

შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამისა და სილაბუსების მოდიფიცირება შეიძლება განხორციელდეს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაში პირდაპირი შეფასებისთვის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. თავდაპირველად, ხდება სტუდენტების რანჟირება ნიშნების მიხედვით, გაუსის განაწილების შესაბამისად სამიზნე პროცენტული მაჩვენებლებით: 10% ნიშანი A-სთვის, 20% ნიშანი B-სთვის, 40% ნიშანი C-სთვის, 20% ნიშანი D-სთვის და 10% ნიშანი E-სთვის. ნებისმიერი გადახრა 5-10%-ზე მეტად იწვევს სწავლის შედეგებისა და მექანიზმების გადახედვას. გარდა ამისა, რეაგირება საჭიროა თუ, ორი წლის განმავლობაში, ერთი და იგივე კურსი განმეორებით აჩვენებს მნიშვნელოვან გადახრას მოსალოდნელი შედეგებიდან.

თუ მნიშვნელოვანი გადახრები არ გამოვლინდება, საგანმანათლებლო კომპონენტი ითვლება რომ აკმაყოფილებს დასახულ შედეგებს და მოდიფიცირება არ არის საჭირო.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან, რომლებმაც დეტალურად

განმარტეს სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი გადის ტრენინგებსა და კონსულტაციებს, რაც მათ ეხმარება ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო უნარების განვითარებაში. პროგრამის განმახორციელებელი ყველა დაინტერესებული მხარე კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მხარდაჭერა აქვს სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარების განვითარებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებული მხარე იცნობდეს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს.

### პროგრამა 1"მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაVI საფეხური

პირდაპირი შეფასების მიზნით, პროგრამაში შეტანილია ძირითადი კურსები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი კურსები:

1. პროფესიული ინგლისური მენეჯერებისთვის II
2. კორპორაციული მენეჯმენტი
3. პროექტის მენეჯმენტი
4. მარკეტინგის მენეჯმენტი
5. სტრატეგიული მენეჯმენტი
6. კრიზისული კომუნიკაციების მართვა
7. ადმინისტრაციული აღრიცხვა
8. ინოვაციური მენეჯმენტი
9. პრაქტიკა
10. საბაკალავრო პროექტი

საბაკალავრო პროგრამაში მენეჯმენტის მიმართულებით სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე მაჩვენებელი განსაზღვრულია, რომ სტუდენტების სულ მცირე 70%-მა უნდა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების დეტალური კავშირები, შეფასების დონეებთან, ინდიკატორების რუკასთან, ყოველწლიური მონიტორინგის განრიგთან და სამიზნე ნიშნულებთან ერთად, მოცემულია პროგრამის დანართში #5: მენეჯმენტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

### პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

პირდაპირი შეფასების ჩასატარებლად, პროგრამის პერსონალმა დაადგინა ძირითადი კურსები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს კურსები კონკრეტულად აძლიერებს მიზანმიმართულ შედეგებს. ეს კურსებია:

1. გადასახადები და დაბეგვრა

2. ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება
3. კორპორატიული ფინანსები
4. საბანკო საქმე
5. საჯარო ფინანსები
6. ავტომატური ფინანსური და ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა (Oris)
7. ადმინისტრაციული აღრიცხვა
8. საბანკო მენეჯმენტი
9. საერთაშორისო ფინანსები
10. ფინანსური ანალიზი
11. პრაქტიკა
12. საბაკალავრო პროექტი

სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნული საბაკალავრო პროგრამაში ფინანსების მიმართულებით განსაზღვრულია, რომ სტუდენტების სულ მცირე 70%-მა უნდა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამაში (დანართი #5) ფინანსების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დეტალურ ინფორმაციას იძლევა ამ კურსებსა და პროგრამის შედეგებს შორის კავშირზე, შეფასების დონეებზე, ინდიკატორების რუკაზე, ყოველწლიური დაკვირვების განრიგსა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებზე

## პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

პირდაპირი შეფასების განსახორციელებლად, პროგრამის პერსონალმა შეარჩია ძირითადი კურსები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და განმტკიცებისთვის. ეს კურსებია:

1. საერთაშორისო მარკეტინგი
2. ძირითადი რისკების მართვა გლობალურ ბიზნესში
3. გლობალური სტრატეგიული მენეჯმენტი
4. საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება ბიზნესში
5. კვლევისა და ანალიტიკური უნარები ბიზნესში
6. პრაქტიკა
7. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა

სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე მაჩვენებელი საერთაშორისო ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამაში განსაზღვრულია, რომ სტუდენტების სულ მცირე 70%-მა უნდა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამაში (დანართი #5) საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დეტალურად აღწერს ამ კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირს, შეფასების დონეებს, ინდიკატორების რუკას, ყოველწლიური დაკვირვების განრიგსა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებს.

## პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

პირდაპირი შეფასების განსახორციელებლად, პროგრამის პერსონალმა შეარჩია  კურსები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და განმტკიცებისთვის. ეს კურსებია:

1. მომხმარებელთა ქცევა საერთაშორისო ბაზრებზე
2. ციფრული მარკეტინგი და ელექტრონული კომერცია: ემთხვევები და ანალიზი
3. კონკურენცია და კონკურენტული სტრატეგიები
4. გლობალური მარკეტინგული სტრატეგიები
5. მარკეტინგის კვლევის მეთოდები საერთაშორისო ბაზრებისთვის
6. პრაქტიკა
7. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნული საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამაში განსაზღვრულია, რომ სტუდენტების სულ მცირე 75%-მა უნდა მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის დანართში #5: საერთაშორისო მარკეტინგის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოცემულია დეტალური ინფორმაცია ამ კურსებსა და პროგრამის შედეგებს შორის შესაბამისობაზე, შეფასების დონეებზე, ინდიკატორების რუკაზე, ყოველწლიური დაკვირვების განრიგსა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებზე.

### პროგრამა 5. “ბიზნესის ადმინისტრირების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

სადოქტორო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირებაში სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული იქნება შემდეგი სავალდებულო სასწავლო და კვლევითი კომპონენტები:

1. სწავლების თანამედროვე მეთოდები
2. სადისერტაციო ნაშრომის კოლოქვიუმი-3
3. დისერტაციის მომზადება და დაცვა

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია, რომ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების 75%-მა უნდა დააკმაყოფილოს მოსალოდნელი შედეგები.

ინფორმაცია სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის, ამ შედეგების შეფასების მეთოდების, შეფასების დონეების, შეფასების ინდიკატორების რუკის, სწავლის შედეგების წლიური მონიტორინგის განრიგისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულის შესახებ, მოცემულია პროგრამის დანართში #5: ბიზნესის ადმინისტრირების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის დოკუმენტაცია
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესები
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის.
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის.
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის.
- საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1"მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაVI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაVII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის | X | ☐ | ☐ | ☐ |

ადმინისტრირებაში (VIII
საფეხური)

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შეიქმნა უნივერსიტეტში შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის" შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დაცვას.

პროგრამის შემუშავება წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს, რომელიც მოიცავს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიურ და კვლევით პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და აკადემიურ საბჭოს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ეს მრავალფეროვანი ჩართულობა ადასტურებს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას და იძლევა იმის გარანტიას, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს.

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად.

სასწავლო კურსების სამუშაო დატვირთვა ისე არის გადანაწილებული, რომ სტუდენტი თანდათანობით იძენს დარგის საფუძვლიან ცოდნას.

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის უნიკალურობას. პროგრამების სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ასახავს კვალიფიკაციის კონკრეტულ მოთხოვნებს. ნებისმიერი კონცენტრაციის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. პროგრამების სტრუქტურა დიდწილად ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მათ შორის ცალკეული კურსები, ძირითადად ორგანიზებული და შემუშავებულია

თანმიმდევრულად, რაც ლოგიკურ პროგრესს უზრუნველყოფს. მომდევნო კომპონენტებზე გადასვლის წინაპირობები სათანადოდ არის განსაზღვრული ა ინარჩუნებს პროგრამის მთლიანობას.

პროგრამა 1. „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს.

„ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია სტუდენტებში თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემაზე და შექმნაზე/ ჩამოყალიბებაზე, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ მიგნებებსა და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს; პროგრამის შინაარსი დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე და პროგრამის საფეხურზე და ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

პროგრამა 2. „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, საიდანაც 185 კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომისთვის; 5 კრედიტი - პრაქტიკისთვის; 5 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებისთვის და 15 კრედიტი გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტებისთვის.

„ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო დონეზე.

პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ მიგნებებსა და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს; პროგრამის შინაარსი დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე და პროგრამის საფეხურზე და ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

აღწერა და ანალიზი 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის" შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე

შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს, რაც თავსებადია აღმასრულებელი მაგისტრატურის დონესთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მიღებას „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი (EMBA) ბიზნესის ადმინისტრირებაში".

პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ მიგნებებსა და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს; პროგრამის შინაარსი დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე და პროგრამის საფეხურზე და ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

პროგრამა 4. „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო მარკეტინგინს სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის" შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს, რაც თავსებადია აღმასრულებელი მაგისტრატურის დონესთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მიღებას „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი (EMBA) ბიზნესის ადმინისტრირებაში".

პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ მიგნებებსა და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს; პროგრამის შინაარსი დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე და პროგრამის საფეხურზე და ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

პროგრამა 5." ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის" შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების მესამე საფეხურს, რაც თავსებადია დოქტორის ხარისხთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს კვალიფიკაციის მიღებას „ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი". აღნიშნული კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს. კვალიფიკაცია სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (40 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ. პროგრამის ხანგრძლივობა სულ მცირე 3 წელია.

„ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას. პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ მიგნებებსა და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს; პროგრამის შინაარსი დამოკიდებულია დარგის სპეციფიკაზე და პროგრამის საფეხურზე და ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების დოკუმენტაცია
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს
- ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების | X | ☐ | ☐ | ☐ |

სადოქტორო
საგანმანათლებლო
პროგრამა (VIII
საფეხური)

### 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ძირითადი სასწავლო სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის/საგნის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის/ საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის თანაფარდობა არის ადეკვატური და ითვალისწინებს კურსის/ საგნის თავისებურებებს; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის/ საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსის/ საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება დარგის მიღწევებს და ითვალისწინებს როგორც უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, ასევე აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკას.

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამის მიზნები მორგებულია დარგის სპეციფიკაზე, აკადემიურ დონესა და საგანმანათლებლო მიზნებზე. ეს მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც კურსდამთავრებულები შეიძენენ, და წარმოაჩენს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დისციპლინისა და საზოგადოების ფართო განვითარებაში. კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამისთვის ჩატარებულმა შრომის ბაზრის ანალიზმა დაადასტურა კურსდამთავრებულებზე არსებული დიდი მოთხოვნა ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროში, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI საფეხური

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის აქტუალობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში, საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ქვეყნის კერძო სექტორის განვითარებას. იგი პასუხობს დამსაქმებლების საჭიროებებს და ბიზნესის მართვის მზარდ მნიშვნელობას ფართო ბიზნეს გარემოში, მიზნად ისახავს იმ სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც სრულად იქნებიან მზად ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. კურსდამთავრებულები მონაწილეობას მიიღებენ ბიზნეს პროცესების მართვასა და ორგანიზაციული საქმიანობის ოპტიმიზაციაში, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმატებას.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემაზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და დაფუძნებულია სტუდენტის აკადემიურ დატვირთვაზე, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, ანუ 8 სემესტრი და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის საგნებს სხვადასხვა კრედიტი აქვს მინიჭებული - 4, 5 და 6. კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის/ საგნის თავისებურებებს; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის ყოველი სწავლის შედეგი ფასდება, თითოეულ კურსს აქვს პერიოდული, შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტები. კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება დარგის მიღწევებს და ითვალისწინებს როგორც უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, ისე სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას.

საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტები შეესაბამება კურსის მასალებსა და შედეგებს. საბაკალავრო პროექტი შეადგენს 5 კრედიტს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 22 მაისის #01- 70 ბრძანებით დამტკიცებული „საბაკალავრო ნაშრომის/ საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის" შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ 5 კრედიტი საკმარისი არ იქნება საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად. უნივერსიტეტმა უნდა გააკონტროლოს და დეტალურად შეისწავლოს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად დახარჯული დრო და ამის საფუძველზე გაზარდოს საბაკალავრო ნაშრომისთვის გამოყოფილი კრედიტები.

სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა განახლებული და შეესაბამება პროგრამასა და კურსებს, მიზნებსა და შედეგებს.

2. „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI საფეხური

„ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამა მეტად აქტუალურია საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციისა და მისი ფინანსური ინსტიტუტების განვითარების გამო. პროგრამა აკმაყოფილებს დამსაქმებლების მოლოდინებს და პასუხობს ბიზნესისა და ფინანსების მუდმივად ცვალებად გარემოს; იგი ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომლებიც წვლილს შეიტანენ ფინანსურ

პოლიტიკაში, გააუმჯობესებენ კომპანიის რენტაბელობას და წარმატებით იმუშავებენ ფინანსურ დაწესებულებებში, როგორიცაა ბანკები და საკრედიტო სააგენტოები.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეყრდნობა სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, ანუ 8 სემესტრი და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის საგნებს სხვადასხვა კრედიტი აქვს მინიჭებული - 4, 5 და 6. საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტები შეესაბამება კურსის მასალებსა და შედეგებს. საბაკალავრო ნაშრომი შეადგენს 5 კრედიტს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 22 მაისის #01- 70 ბრძანებით დამტკიცებული „საბაკალავრო ნაშრომის/ საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის" შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ 5 კრედიტი საკმარისი არ იქნება საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად. უნივერსიტეტმა უნდა გააკონტროლოს და დეტალურად შეისწავლოს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად დახარჯული დრო და ამის საფუძველზე გაზარდოს საბაკალავრო ნაშრომისთვის გამოყოფილი კრედიტები.

თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის ყოველი სწავლის შედეგი ფასდება, თითოეულ კურსს აქვს პერიოდული, შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტები. კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება დარგის მიღწევებს და ითვალისწინებს როგორც უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, ისე სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას.

სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა განახლებული და შეესაბამება პროგრამასა და კურსებს, მიზნებსა და შედეგებს. თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ სილაბუსში „მეწარმეობის ორგანიზაცია და მართვა, და ბიზნეს- გეგმები" 2017 წლის ლიტერატურის ნაცვლად გამოყენებული იქნეს უახლესი ლიტერატურა.

3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა – VII საფეხური

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა პასუხობს ისეთი სპეციალისტების მზარდ საჭიროებას, რომლებიც ერკვევიან გლობალური ეკონომიკის საერთაშორისო ბიზნესის სირთულეებში. პროგრამა ასახავს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ბაზარზე, საერთაშორისო ბიზნესის სწრაფ განვითარებასა და გლობალიზაციის როლს ეროვნული ეკონომიკების ჩამოყალიბებაში.

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეყრდნობა სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, ანუ 4 სემესტრი და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის საგნებს სხვადასხვა კრედიტი აქვს მინიჭებული - 5 და 6. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა შეადგენს 30 კრედიტს. საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტები შეესაბამება კურსის მასალებსა და შედეგებს. სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა განახლებულია და შეესაბამება პროგრამასა და კურსებს, მიზნებსა და შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის ყოველი სწავლის შედეგი ფასდება, თითოეულ კურსს აქვს პერიოდული, შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტები. კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება დარგის მიღწევებს და ითვალისწინებს როგორც უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, ისე სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას.

4. „საერთაშორისო მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა – VII საფეხური

სავაჭრო და კომერციული გლობალიზაციის ზრდის ფონზე, საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა ეხმიანება საქართველოს საჭიროებას გააუმჯობესოს მისი საექსპორტო პოტენციალი და გაზარდოს მისი პოზიციონირება საერთაშორისო ბაზრებზე. საერთაშორისო მარკეტინგის სპეციალისტების დეფიციტმა შეზღუდა ქვეყნის შესაძლებლობა სრულად გამოიყენოს გლობალური ვაჭრობის შესაძლებლობები. ეს პროგრამა მიზნად ისახავს ამ სიცარიელის შევსებას მარკეტინგის სფეროში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებით, რომლებსაც შეუძლიათ შეიმუშაონ საერთაშორისო მარკეტინგის ეფექტური სტრატეგიები.

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეყრდნობა სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, ანუ 4 სემესტრი და მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის საგნებს სხვადასხვა კრედიტი აქვს მინიჭებული - 5 და 6. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა შეადგენს 30 კრედიტს. საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტები შეესაბამება კურსის მასალებსა და შედეგებს. სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა განახლებულია და შეესაბამება პროგრამასა და კურსებს, მიზნებსა და შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის ყოველი სწავლის შედეგი ფასდება, თითოეულ კურსს აქვს პერიოდული, შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტები. კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება დარგის მიღწევებს და ითვალისწინებს როგორც უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში, ისე სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას.

5. „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - VIII საფეხური

სულ უფრო გლობალიზებულ სამყაროში, ბიზნესი უფრო რთული ხდება, რაც მოითხოვს პროფესიონალებს ღრმა ანალიზური უნარებით, რომლებსაც შეუძლიათ ინოვაციური იდეების შეთავაზება. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი დონის მკვლევარების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ დარგობრივი ცოდნის განვითარება, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ გამოყენებაზე აქცენტის გაკეთება.

ამ პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ხელმძღვანელი როლების მორგებას როგორც აკადემიურ, ისე ბიზნეს გარემოში, ისინი თავიანთ გამოცდილებას გამოიყენებენ თანამედროვე ეკონომიკის რთული პრობლემების გადასაჭრელად.

სადოქტორო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეყრდნობა სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად; იგი მოიცავს 40 კრედიტიან სასწავლო კომპონენტს და კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი (40 ECTS)

სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (35 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები 35 ECTS)

- კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები ბიზნესში (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);
- თემატური სემინარი (10 ECTS);

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

- აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის (5 ECTS);
- სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტი დოქტორანტებისთვის (5 ECTS);
- ფინანსური სექტორის გამოწვევები - კვლევა და ანალიზი (5 ECTS);
- მენეჯმენტის, კვლევისა და ანალიზის აქტუალური პრობლემები (5 ECTS);
- მარკეტინგის კვლევითი და ანალიტიკური ასპექტები (5 ECTS).

პროფესორის ასისტენტობა (10 ECTS);

პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტს დაეხმარება იმაში, როგორ გახდეს მასწავლებელი და განავითაროს შესაბამისი უნარ- ჩვევები.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების სასწავლო საქმიანობის მხარდაჭერას. ეს მოიცავს ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარებას, საგამოცდო საკითხების მომზადებას, ტესტებისა და ქვიზების შემოწმებას, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გადახედვას, რაც ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც პედაგოგებად ან ასისტენტებად მუშაობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ან საქართველოში აკრედიტებულ სხვა დაწესებულებაში, პროფესორის ასისტენტობა შეიძლება გულისხმობდეს სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების ან დამხმარე მასალების მომზადებას, ან ელექტრონული კურსის შემუშავებას მათი სამეცნიერო ხელმძღვანელის კოორდინაციით. ამ ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსში.

თემატური სემინარი (10 ECTS)

დოქტორანტს ევალება თემატური სემინარის ორგანიზება და წარმართვა, სადაც იგი წარმოადგენს კვლევის შედეგებს მიმდინარე აქტუალურ საკვლევ თემაზე. მნიშვნელოვანია, რომ არჩეული სემინარის თემა განსხვავებული იყოს დისერტაციის თემისგან. შეფასების პროცესი, მათ შორის შეფასების კრიტერიუმები, მოცემულია შესაბამის სილაბუსში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, ეხმარება მას დისერტაციის შესრულებაში და ამზადებს მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის. საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტები შეესაბამება კურსის მასალებსა და შედეგებს. სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა განახლებულია და შეესაბამება პროგრამასა და კურსებს, მიზნებსა და შედეგებს.

კვლევითი კომპონენტები შემდეგია:

კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი: პირველი სემესტრის განმავლობაში, დოქტორანტმა უნდა დაასრულოს დისერტაციის წინასწარი პროექტი, რომელსაც ეწოდება კვლევითი ნაშრომის გეგმა და დიზაინი. ეს ხელს უწყობს სტუდენტს კვლევის ჩატარებაში, წყაროების ანალიზსა და დისერტაციის სტრუქტურირებაში. მასში შედის დისერტაციის შესავლის შემუშავება, რომელიც მოიცავს ნაშრომის აქტუალობას, მიზნებს, წინასწარ თეზისს და კვლევის მეთოდებს. შეფასების კრიტერიუმები დადგენილია სილაბუსით.

კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი: დოქტორანტმა უნდა მოამზადოს და წარმოადგინოს სამი კოლოქვიუმი, რომელიც უკავშირდება მის დისერტაციას. ეს კოლოქვიუმები ეხმარება სტუდენტს ცოდნის სისტემატიზაციაში, პროგრესის წარმოჩენაში, შემოქმედებითი აზროვნების გაუმჯობესებასა და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაღრმავებაში. კოლოქვიუმები უნდა მოიცავდეს თეორიული და/ ან ემპირიული კვლევის შედეგებს და რეცენზირებადი პუბლიკაციების ანალიზს. ეს პრეზენტაციები დისერტაციის ნაწილია და სილაბუსის შესაბამისად ფასდება.

დისერტაციის დასრულება და დაცვა: დისერტაცია კვლევითი სამუშაოს ძირითადი კომპონენტია და უნდა წარმოადგენდეს ორიგინალურ, სამეცნიერო თვალსაზრისით დადასტურებულ მიგნებებს ან რეალური პრობლემების გადაჭრის გზებს. ნაშრომის წარდგენა, დაცვა და საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის წესებით. დისერტაცია ფასდება ერთხელ, რის შემდეგაც სტუდენტს ენიჭება დოქტორის ხარისხი დადებითი შეფასების (51- 100 ქულა) შემთხვევაში.

დამატებითი მოთხოვნები: დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტმა უნდა:
- გამოაქვეყნოს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, საიდანაც ერთი მაინც უნდა იყოს ინდექსირებული Scopus- სა ან Web of Science-ში.
- მონაწილეობა მიიღოს სულ მცირე ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით.

სავალდებულო კვლევით კომპონენტებს ქულები ან კრედიტები არ ენიჭება, გარდა დისერტაციის საბოლოო შეფასებისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

სასურველია სილაბუსში "მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზაცია და მართვა" 2017 წლის ლიტერატურის ნაცვლად გამოყენებული იქნეს განახლებული, უახლესი ლიტერატურა.

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსები, როგორიცაა „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „სტრატეგიული მარკეტინგი“, „მარკეტინგის არხის მენეჯმენტი“.

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. . უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხდება სტუდენტური დაგეგმარების მეთოდოლოგიით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ ყველა პროგრამას გააჩნია მიღების წინაპირობები და პროცედურები.

წინაპირობების მიზანშეწონილობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ მათ უნდა უზრუნველყონ პროგრამაზე იმ პირთა დაშვება, ვისაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა, უნარ- ჩვევები და კომპეტენციები. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მიღების წინაპირობები შეესაბამება პროგრამების სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამებზე მიღების მოთხოვნები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამების შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს და სწავლების ენას.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებებზე გაირკვა, რომ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე (www.ciu.edu.ge), რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარეებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები და ჩარიცხვა სამართლიანი და გამჭვირვალეა.

ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობებსა და პროცედურებში მოცემულია ზოგადი ხასიათის განაცხადები, რომლებიც დაკონკრეტებას საჭიროებს იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო მარტივად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მობილობის წესი და შიდა მობილობისა და კრედიტების აღიარების რეგულაცია (https://ciu.edu.ge/menu/slug/Legal-Guide), რომლებიც ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას და უნივერსიტეტის რესურსებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა შეესაბამება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მობილობის წესსს.

საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები უზრუნველყოს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საბაკალავრიოპროგრამა: მენეჯმენტი)

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების თანახმად, საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

აღნიშნული ფორმულირება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებული ჩანაწერი, საჭიროებს კორექციას (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 48, პუნქტი 1).

ფაკულტეტის ვებ-გვერდზე მითითებული პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, პროგრამის მესამე სავალდებულო საგნად განსაზღვრულია მათემატიკა ან ისტორია. ასევე სავალდებულოა ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული (https://ciu.edu.ge/menu/slug/programebi-da-erTiani-erovnuli-gamocdebi-1-2-3).

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების ჩარიცხვა/მიღება უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვა დაშვებულია სწავლის პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან უცხოეთში აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა: ფინანსები)

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების თანახმად, საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

აღნიშნული ფორმულირება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებული ჩანაწერი, საჭიროებს კორექციას (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 48, პუნქტი 1).

ფაკულტეტის ვებ-გვერდზე მითითებული პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, პროგრამის მესამე სავალდებულო საგნად განსაზღვრულია მათემატიკა. ასევე სავალდებულოა ერთ- ერთი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული (https://ciu.edu.ge/menu/slug/programebi-da-erTiani-erovnuli-gamocdebi-1-2-3).

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების ჩარიცხვა/მიღება უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვა დაშვებულია სწავლის პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან უცხოეთში აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი)

მაგისტრატურის დებულების თანახმად (https://ciu.edu.ge/menu/slug/Legal- Guide), საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება წინასწარ გამოცხადებული მიღების კვოტის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე.

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს ისწავლოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე. სამაგისტრო დონეზე სწავლის უფლება ასევე აქვს საზღვარგარეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50- ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიღების საფუძველს წარმოადგნს სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შიდა გამოცდას.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პირი, რომელმაც ინგლისურ ენაზე დაასრულა საბაკალავრო პროგრამა, გათავისუფლებულია B2 (ALTE) დონის ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისგან. თუ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს არ შეუძლია ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, მან უნდა ჩააბაროს გამოცდა უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ტარდება სპეციალობაში, თუმცა არ არის მითითებული, თუ რა ფორმით ხორციელდება იგი. სასურველია, რომ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების თემები/ტესტები/საკითხები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სამაგისტრო პროგრამაზე მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ვადების ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურების დაცვით და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ან აღიარებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების/ თანხმობის საფუძველზე.

რეკომენდებულია მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა.

პროგრამა 4. სამაგისტრო პროგრამა: საერთაშორისო მარკეტინგი

მაგისტრატურის დებულების თანახმად (https://ciu.edu.ge/menu/slug/Legal- Guide), საერთაშორისო მარკეტინგინს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება წინასწარ გამოცხადებული მიღების კვოტის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე.

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს ისწავლოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე. სამაგისტრო დონეზე სწავლის უფლება ასევე აქვს საზღვარგარეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50- ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიღების საფუძველს წარმოადგნს სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შიდა გამოცდას.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პირი, რომელმაც ინგლისურ ენაზე დაასრულა საბაკალავრო პროგრამა, გათავისუფლებულია B2 (ALTE) დონის ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისგან. თუ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს არ შეუძლია ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, მან უნდა ჩააბაროს გამოცდა უნივერსიტეტის ენათა ცენტრში.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ტარდება სპეციალობაში, თუმცა არ არის მითითებული, თუ რა ფორმით ხორციელდება იგი. სასურველია, რომ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების თემები/ტესტები/ საკითხები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სამაგისტრო პროგრამაზე მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ვადების ფარგლებში, განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურების დაცვით და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ან აღიარებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების/ თანხმობის საფუძველზე.

რეკომენდებულია მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა.

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების (https://ciu.edu.ge/menu/slug/Legal- Guide) თანახმად, დოქტორანტთა მიღება ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხორციელდება წელიწადში არაუმეტეს ორჯერ, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებით/ მიმართულებებით, არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების გათვალისწინებით, მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გაანალიზებით.

სასურველია მიეთითოს, სად იქნება განთავსებული ინფორმაცია პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების შესახებ (მაგ., უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის ვებ- გვერდზე), რაც მომავალ დოქტორანტებს გაუადვილებს გადაწყვეტილების მიღებას.

აღსანიშნავია, რომ დოქტორანტთა რაოდენობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგებს.

სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს წესდებით დადგენილ მოთხოვნებს, აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.

რეგულაციის თანახმად, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისას ხდება შემდეგის გათვალისწინება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო/ სამეცნიერო საქმიანობასთან (სერტიფიკატები, დოკუმენტები, პატენტები და ა.შ.).

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი შემოთავაზებული კვლევის თემაზე, რომელშიც დასაბუთებული იქნება კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა, რაც გამოავლენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მიმდინარე საკითხების სიღრმისეულ ცოდნას და კონკურსანტის კვლევით პოტენციალს. კანდიდატს მოეთხოვება წინა მუშაობა/ პუბლიკაცია შესაბამის სფეროში და/ ან მონაწილეობა სამეცნიერო- კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში და/ ან სულ მცირე 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, გასაუბრებისას კანდიდატმა მიღების კომისიას უნდა წარუდგინოს სამოტივაციო წერილი კვლევის თემასთან დაკავშირებით. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში. ასევე, თანაბარ პირობებში, უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც არ გააჩნია სამაგისტრო ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში, მაგრამ გააჩნია პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და/ ან მუშაობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ან მასში შემავალ ცალკეულ სასწავლო სფეროებში.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი. კანდიდატი, რომელმაც ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა ინგლისურ ენაზე დაასრულა, გათავისუფლებულია სერტიფიკატის წარდგენისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა უნივერსიტეტის ენათა ცენტრში.

პროგრამაზე მიღება ხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. კანდიდატი გადის გასაუბრებას უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილ შესაბამის კომისიასთან. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, კონკურსის კომისია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კანდიდატების შერჩევის შესახებ.

უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50- ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან აღიარებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;

- გასაუბრებების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:www.ciu.edu.ge;
- სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის წესი;
- მობილობის, შიდა მობილობისა და კრედიტების აღიარების რეგულირება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში;
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულება.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- ზოგიერთ შემთხვევაში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიღების წინაპირობები და პროცედურები წარმოდგენილია ზოგადი სახით, რაც საჭიროებს უფრო დეტალურ დაზუსტებას იმისათვის, რომ აპლიკანტებმა უფრო ადვილად და სრულად იპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები:

"მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი). რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები:

- "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების თანახმად, "საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე." რეკომენდებულია აღნიშნული ფორმულირების გასწორება, მათ შორის მოქალაქეობასთან

დაკავშირებით (საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", 48-ე მუხლის პირველი პუნქტი)..

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- სასურველია მიეთითოს პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა.

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების თემატიკა/ტესტები/საკითხები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- სასურველია მიეთითოს პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა და პროცედურა.

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- სასურველია, დაზუსტდეს, სად განთავსდება ინფორმაცია პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების შესახებ (მაგალითად, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებგვერდზე), რათა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს გაუმარტივდეთ გადაწყვეტილების მიღება.

შეფასება

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა) (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების თანახმად, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი ლოგიკურად არის აგებული და მისი პრაქტიკული/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო კომპონენტი შეესაბამება სწავლების დონეს. პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლის შედეგებს და ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის სწავლა- სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, კურსის/ საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და დარგის მახასიათებლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია, ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს (მათ შორის საერთაშორისო სტუდენტებისას), უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მიმართულია სხვადასხვა უნარის განვითარებისაკენ, მათ შორის კრიტიკული და ანალიზური უნარების.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა ზოგადად იძლევა პროგრამების მიზნების რეალიზაციის საშუალებას. პროგრამების განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

საბაკალავრო/ სამაგისტრო/ სადოქტორო კვლევითი ნაშრომის შესრულება ავითარებს სტუდენტების უნარს პრაქტიკულად ჩაატარონ კვლევა, მოიძიონ, გააანალიზონ და დაამუშაონ ინფორმაცია, გააანალიზონ შედეგები და ჩამოაყალიბონ დასკვნები. საბაკალავრო/ სამაგისტრო/ სადოქტორო კვლევითი ნაშრომის შესრულება რეგულირდება შესაბამისი დებულებებით და ექვემდებარება ორიგინალობის ხარისხის და პლაგიატის დაცვას.

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციას, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება იმუშაონ ხელმძღვანელებთან ერთად კვლევით პროექტებზე, რაც მიმართულია სტუდენტთა კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებისაკენ. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურულ, ინტელექტუალურ, სპორტულ და საქველმოქმედო სტუდენტურ აქტივობებს.

პარტნიორ უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სტუდენტთა გაცვლით პროგრამებს. ბაკალავრიატის სტუდენტები გადიან მობილობას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ამ მიზნით, უნივერსიტეტს აქვს საგრანტო დაფინანსების სისტემა კვლევის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმებით. სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში, ახალგაზრდა მკვლევარებს ევალებათ ჩაერთონ ძირითადი პროექტის შემადგენლობაში. ასევე ხდება სტუდენტის კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობის წახალისება. უნივერსიტეტმა დააწესა სამეცნიერო პრემია „თამარი", რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა. კონკურსის პირობების თანახმად, იგი ასევე გაიცემა ერთ ახალგაზრდა მეცნიერზე.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შეთანხმებები, მემორანდუმები და თანამშრომლობის დოკუმენტები დამსაქმებლებთან, პრაქტიკის სხვადასხვა ცენტრებთან, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა რაოდენობას, მიზნებს, შედეგს და პრაქტიკის ხანგრძლივობას და ხელს უწყობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2025-2027 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დოქტორანტთა კვლევისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერას, რაც მოიცავს

სახელმძღვანელოების შექმნას, სასწავლო ციკლის უზრუნველყოფას და პოსტ- დოქტორანტურის სისტემის მექანიზმების დამკვიდრებას.

1. „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI საფეხური

პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების გასავითარებლად, ამ პროგრის სტუდენტებმა უნდა გაიარონ 10-კრედიტიანი პრაქტიკა და შეასრულონ 5-კრედიტიანი საბაკალავრო პროექტი. პრაქტიკული გამოცდილების მიზნებია:

- აუდიტორიაში მიღებული თეორიული ცოდნის გამყარება და შესაბამისი საკითხების უფრო ღრმად გააზრება.
- ძირითადი ბიზნეს- დოკუმენტებისა და ბიზნესის გეგმების მომზადების სწავლება.
- ოპერაციული ადამიანური რესურსების დაგეგმვის, მართვისა და მარკეტინგული კვლევის უნარების განვითარება.
- ბიზნესოპერაციების ანალიზის უნარისა და თეორიული ცნებების პრაქტიკულ გამოცდილებასთან ინტეგრაციის გაუმჯობესება.
- რეალური ბიზნესგარემოს შეცნობა, უახლესი ტექნოლოგიების, სამუშაო გარემოსა და პროფესიული ურთიერთობების ჩათვლით.

პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეიძენენ შემდეგ კომპეტენციებს:

- ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის უნარები.
- პროფესიული უნარები თანამედროვე ბიზნეს- ოპერაციებში, რისკის შეფასებაში, პროექტის მართვასა და ფინანსურ ანალიზში.

ზოგადი კომპეტენციები: სტუდენტები ასევე განავითარებენ ანალიზის, სინთეზის, კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარებს, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ცოდნასთან ერთად.

საბაკალავრო პროექტი: პროექტი წარმოადგენს პროგრამის დასკვნით ეტაპს, რომელიც აფასებს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების, პრეზენტაციისა და დამოუკიდებელი ანალიზის უნარებს. პროექტის მეშვეობით, სტუდენტები გააუმჯობესებენ კვლევის ჩატარების, ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და იმ საბაკალავრო ნაშრომის მომზადების უნარებს, რომელიც წარმოაჩენს მათ აკადემიურ ცოდნასა და პროფესიული საქმიანობისთვის მზაობას.

2. „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - VI საფეხური

ფინანსების პროგრამა ასევე მოიცავს 10-კრედიტიან პრაქტიკასა და 5-კრედიტიან საბაკალავრო პროექტს, რაც:

- შესძენს სტუდენტებს პრაქტიკულ გამოცდილებას ფინანსებში, საბანკო საქმეში, დაზღვევასა და საგადასახადო საქმეში.
- გააღრმავებს მათ აკადემიურ საფუძველს თეორიის რეალურ პრაქტიკასთან დაკავშირებით.
- განავითარებს ბიზნესდოკუმენტაციის, რისკის შეფასების, ფინანსური პრობლემების გადაჭრისა და პროექტის მართვის უნარებს.

დარგობრივი კომპეტენციები: სტუდენტები იძენენ გადაწყვეტილებების მიღების, ფინანსური ანალიზისა და ბიზნეს-გეგმებისა და რისკების შეფასების მომზადების უნარებს.

ზოგადი კომპეტენციები: მენეჯმენტის პროგრამის მსგავსად, ფინანსების პროგრამა ორიენტირებულია კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარებისგანვითარებაზე.

საბაკალავრო პროექტი: სტუდენტები ატარებენ სიღრმისეულ კვლევას, სწავლობენ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და შედეგების წარმოდგენას ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. ეს პროცესი აუმჯობესებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს და ამზადებს სტუდენტებს რთული ინფორმაციის სინთეზირებისთვის, კარგად ჩამოყალიბებული არგუმენტების წარდგენისა და სამეცნიერო კვლევაში ჩართვისთვის.

3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - VII საფეხური

ამ პროგრამის მაგისტრანტები გადიან 10- კრედიტიან პრაქტიკულ კომპონენტს, რომლის მიზანია გაამყაროს თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში, რაც მათ საშუალებას აძლევს:

- გამოიყენონ თეორია კონკრეტულ პრაქტიკულ დავალებებში და ჩაერთონ გუნდურ მუშაობაში და გადაწყვეტილების მიღებაში.
- განავითარონ მდგრადობა და გაუთვალისწინებელ გარემოში ადაპტაციის უნარი, თვითკრიტიკისა და ინოვაციური პრობლემების გადაჭრის უნარები.

სტუდენტებს შეუძლიათ ამ მოთხოვნის შესრულება მათ მიმდინარე სამუშაო ადგილზე, თუ ის შეესაბამება მათ სწავლებას.

კვლევითი უნარები: კვლევით კომპეტენციებს სტუდენტები ავითარებენ შემდეგი კურსებით: სტრუქტურირებული საკურსო ნაშრომი აკადემიურ წერაში (5 კრედიტი), კვლევითი უნარები ბიზნესში (6 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (25 კრედიტი). ეს კურსები ხაზს უსვამს მიზნების დასახვას, დროის მართვას, მონაცემთა ანალიზს და ინფორმაციის კრიტიკული სინთეზის უნარს.

4. „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - VII საფეხური

პროგრამის 10-კრედიტიანი პრაქტიკული კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს პირდაპირ გამოიყენონ თეორიული ცოდნა დარგში, შეარჩიონ პრაქტიკის სფერო თავიანთი ინტერესების შესაბამისად. სტუდენტები ავითარებენ ბიზნეს გარემოში ინტეგრაციის, თავიანთი ცოდნის რეალურ დავალებებთან ადაპტაციისა და მარკეტინგთან დაკავშირებული კომპეტენციების გამომუშავების უნარებს.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად, სტუდენტები გადიან შემდეგ კურსებს: აკადემიური წერა (5 კრედიტი) და საერთაშორისო საბაზრო კვლევის მეთოდები (6 კრედიტი). კვლევითი კომპონენტის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს საჯაროდ დაცული სადისერტაციო ნაშრომი (30 კრედიტი), რომელიც წარმოაჩენს სტუდენტების დამოუკიდებელ კვლევით უნარებს.

5. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - VIII საფეხური

სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას, რომლის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვასა და მონახაზის შედგენას, რაც ეხმარება სტუდენტებს წყაროების ანალიზში, დისერტაციის სტრუქტურირებაში და კვლევის თემის დაზუსტებაში.
- სამ კვლევით კოლოკვიუმს, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ დისერტაციის ნაწილებს და სადაც ხდება მათი კვლევის სიღრმის, შემოქმედებითობისა და პრეზენტაციის უნარების შეფასება.

დისერტაცია წარმოადგენს ძირითად კვლევით კომპონენტს, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ სფეროში შეტანილ ორიგინალურ წვლილს. იგი მოითხოვს კრიტიკულ ანალიზს, ინოვაციურ კვლევის მეთოდებს და უნდა ეხებოდეს მნიშვნელოვან აკადემიურ საკითხს. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, შეფასებისა და დაცვის პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო გეგმები;
- მასალები სტუდენტური ღონისძიებებისთვის;
- მასალები სტუდენტური კონფერენციებისთვის;
- კვლევების განვითარების პოლიტიკა;
- სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- ინფორმაცია კვლევით პროექტებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სტუდენტების მეწარმეობის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უფრო აქტიურად ჩაერთონ GITA- ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) პროექტებში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები და დამყარდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმები, რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად განავითარონ პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშესრულებლო და ტრანსფერული უნარები.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული პროგრამის სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, დარგის მოთხოვნებს, სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის უზრუნველყოფას. კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში აღწერილია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, ჯგუფური მუშაობა/ სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული,

პრაქტიკული, ელექტრონული რესურსებით სწავლება, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვ.

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების ადაპტირებული და თანამედროვე სწავლების მეთოდების კომბინაცია წარმატების მიღწევის ერთ- ერთი წინაპირობაა. პროგრამებში გამოყენებული სწავლება- სწავლის მეთოდები ძირითადად ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა- სწავლების მეთოდებს, რაც ზრდის სტუდენტების მოტივაციას.

პროგრამების განხორციელებისას, სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება სწავლება- სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები. კურსების სილაბუსებში შედის შემდეგი აქტივობები: დისკუსია/ დებატები; ზეპირი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრეზენტაცია; პრაქტიკული მუშაობა; ჯგუფური მუშაობა; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; კეისის ანალიზი; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; თანამშრომლობითი მუშაობა; ელექტრონული რესურსებით სწავლება; ცოდნის ურთიერთშემოწმება სტუდენტების მიერ (მეთოდოლოგია "სტუდენტების პედაგოგიური როლები" და მეთოდი "გასაუბრება წყვილებში"); ჯგუფური და ინდივიდუალური კვლევითი პროექტები და სხვა.

კონკრეტული კურსის სწავლება- სწავლის მეთოდები მოცემულია შესაბამისი კურსის სილაბუსში. გასაუბრებებისას დადასტურდა, რომ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინაციის შედეგად, სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება, ხოლო სტუდენტთა მონაწილეობა უფრო აქტიური, რადგან მეთოდების კომბინაცია უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. სასწავლო პროცესში, კურსის სპეციფიკისა და ჯგუფის მახასიათებლებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს ამა თუ იმ მეთოდს. სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები მიმართულია სწავლის აქტივაციაზე, კოგნიტური აქტიურობის განვითარებასა და სტიმულირებაზე, სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე სასწავლო პროცესში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ყურადღება ეთმობა ბიზნეს კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებას დისერტაციაში. პრაქტიკამ აჩვენა, რომ დოქტორანტებს შეუძლიათ კვლევისთვის პირველადი და მეორადი მონაცემების შეგროვება, მაგრამ ვერ ახერხებენ ამ ინფორმაციის სრულად დამუშავებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რადგან მათ უმეტესობას (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) არ გააჩნიათ მონაცემების დასამუშავებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა და უნარები.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფენ პერსონალისა და სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობას და მონაწილეობას ავტონომიურობითა და პასუხისმგებლობით. აღნიშნული მეთოდები მიმართულია სხვადასხვა სტუდენტური უნარების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარებაზე, მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ხასიათდება მოქნილობით. გარკვეულ გარემოებებში შემუშავდება ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც მორგებული იქნება სტუდენტის ინტერესებსა და განათლების დონეზე.

საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონულ/ დისტანციურ სწავლებას იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ ცვლის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ეს გამოიყენება ინდივიდუალურად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა იძლევა დისტანციური და შერეული სწავლებისა და სწავლის ფორმატების გამოყენების საშუალებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულება;
- დებულება სასწავლო პროცესის შესახებ;
- ელექტრონული სწავლების რეგულაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურზე კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სასწავლო კურსს მონაცემთა მართვა და სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პაკეტი SPSS". სასურველია აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს და ჩატარდეს მიღებული შედეგების მონიტორინგი შემდგომი განვითარებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | | | | |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა) (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

---

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ყველა პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და მკაფიოდაა გაწერილი პროგრამის აღწერილობებსა და ცალკეული კურსების სილაბუსებში. სტუდენტებს ამ სისტემის შესახებ აცნობებენ სწავლის დაწყებისთანავე.

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა შეფასების 100- ქულიან სისტემას. მაქსიმალური დადებითი ქულა არის 100, ხოლო მინიმალური ზღვარი არის 51 ქულა.

შეფასების სისტემა მოიცავს:

ა) ხუთი ტიპის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ) ორი ტიპის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41- 50 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტმა უნდა გააუმჯობესოს შედეგები და შეუძლია გადააბაროს გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის გზით;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სტუდენტის მუშაობა არაკმარისია და მან თავიდან უნდა გაიაროს კურსი ან საგანი.

პროგრამა 1 (მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა); პროგრამა 2 (ფინანსები საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამებში, სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ყოველკვირეული მიმდინარე შეფასებები სხვადასხვა აქტივობების სახით: მათი მონაწილეობა ლექციებში, სამუშაო შეხვედრებში, სემინარებსა და პრაქტიკულ სესიებში. ეს მოიცავს კლასში აქტიურობას, საშინაო დავალებების შესრულებას, კონკრეტული სიტუაციური ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობას, წერითი ტესტების შესრულებას, დამოუკიდებელი დავალებებისა და ანგარიშების მომზადებას, პრეზენტაციების წარდგენას, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტების შემუშავებასა და წარდგენას.

საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესის მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ერთ საბოლოო ეტაპზე: ხელმძღვანელის მიერ - 30 ქულა, რეცენზენტის მიერ - 30 ქულა და საჯარო დაცვის კომისიის მიერ - 40 ქულა. იმის გამო, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ ითვლება სამეცნიერო ნაშრომად და წარმოადგენს საგანმანათლებლო პრაქტიკულ კომპონენტს, დაუშვებელია მისი ერთჯერადი შეფასება შემდეგი კანონმდებლობის საფუძველზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება, ქ. თბილისი, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიდების შესახებ". "მუხლი 11. ტერმინთა განსაზღვრის თანახმად: ე) საგანმანათლებლო კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით; და მუხლი 4. სტუდენტის შეფასების მიხედვით: 1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

პროგრამა 3 („საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი' სამაგისტრო პროგრამა:); პროგრამა 4 („საერთაშორისო მარკეტინგი“სამაგისტრო პროგრამა:)

სამაგისტრო პროგრამებში სტუდენტთა ცოდნა ფასდება ზეპირი და წერილობითი შეფასებებით, მათ შორის ტესტებით, კეისების განხილვითა და ანალიზით, ღია კითხვებით, ესეებით და სხვა მეთოდებით. კონკრეტული კურსები შეიძლება მოითხოვდეს საშინაო დავალებების ან ბიზნეს- პროექტების მომზადებასა და წარდგენას. შეფასების მეთოდები, ფორმატები, კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ხვედრითი წილი განისაზღვრება კურსის პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაციის საფუძველზე, კურსის სპეციფიკისა და სწავლის მიზნების გათვალისწინებით. ეს ინფორმაცია აისახება კონკრეტული კურსის სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობათ აკადემიური სემესტრის დასაწყისში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების თვალსაზრისით, იგი ფასდება ერთხელ კომისიის წინაშე დაცვის დროს. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს მიენიჭება სადისერტაციო

ნაშრომისთვის გათვალისწინებული 30 კრედიტი და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აკადემიური ხარისხი ან კვალიფიკაცია.

პროგრამა 5 („ბიზნესის ადმინისტრირება“ სადოქტორო პროგრამა:)

სადოქტორო პროგრამაში, კურსის კომპონენტის შესწავლისას, სტუდენტის მუშაობის საერთო შეფასება ითვალისწინებს როგორც შუალედურ შეფასებებს, ასევე საბოლოო გამოცდის ქულებს. შუალედური შეფასება იყოფა კომპონენტებად, რომლებიც მოიცავს ლექციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას, შუალედურ გამოცდებს, წინასწარ შერჩეული თემის მომზადებასა და წარდგენას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, ანგარიშის მომზადებასა და დაცვას, სხვა მსგავს აქტივობებს. თითოეულ კომპონენტს გააჩნია კონკრეტული ხვედრითი წილი საერთო შუალედურ შეფასებაში.

სტუდენტის მუშაობის საბოლოო შეფასება ითვალისწინებს როგორც შუალედურ შეფასებებს, ასევე საბოლოო გამოცდის ქულებს. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებსა და შუალედური გამოცდის ქულებს, ან შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ შუალედური გამოცდის ქულებისგან.

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, მისი სავალდებულო ელემენტები არ ფასდება ქულებით, შესაბამისად, ამ ელემენტების დასრულების შემდეგ დოქტორანტი ვერ ითვისებს კრედიტებს. მხოლოდ დისერტაცია ფასდება ერთხელ, საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი;
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კსუ–მ გადახედოს "საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესს" და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში საბოლოო შეფასებასთან ერთად შემოიღოს შუალედური შეფასების კომპონენტი.

რჩევები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კსუ–მ გადახედოს "საბაკალავრო ნაშრომის/საბაკალავრო პროექტის შესრულებისა და დაცვის წესს" და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში საბოლოო შეფასებასთან ერთად შემოიღოს შუალედური შეფასების კომპონენტი.

რჩევები: არ ეხება

პროგრგამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა (VIII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო პროგრამა (VI საფეხური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხით გაწევა.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტები ყველა პროგრამაში ეცნობიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებს და მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით ინიციატივებში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც მუდმივად ორიენტირებულია, რომ რეაგირება მოახდინოს დასაქმების გამოწვევებზე.

უნივერსიტეტი მასპინძლობს დასაქმების ფორუმებს - დასაქმების ბაზრობებს, სადაც კომპანიის წარმომადგენლები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უწევენ კონსულტაციებს დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დამსაქმებლებთან ინტერვიუებიდან დგინდება, რომ ეს უფრო მეტად წარმოადგენს მემორანდუმის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებას.

რეგულარულად იმართება წარმატებული ბიზნეს გამოფენები, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიზნეს ინკუბატორი. გამარჯვებულები იღებენ დაფინანსებას თავიანთი ინიციატივების მხარდასაჭერად.

მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა აქტივობებისა, როგორც დისკუსიებში აღინიშნა, სტუდენტები ნაკლებად არიან დაინტერესებული ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებით.

ახალი სემესტრის დაწყებამდე სტუდენტები აფასებენ აკადემიური პერსონალის მუშაობას. ამ პროცესთან დაკავშირებით გარკვეული უთანხმოება იყო. ზოგიერთი რესპონდენტი აცხადებს, რომ შეფასება სავალდებულოა და განმარტეს, რომ არ შეუძლიათ მომავალი სემესტრის ახალი კურსების არჩევა წინა სემესტრის კურსებისა და ლექტორების შეფასების გარეშე. თუმცა, სხვები ამტკიცებენ, რომ შეფასება ნებაყოფლობითია. აქვე, ყველა თანხმდება, რომ გამოკითხვა ანონიმურია. გარდა ამისა, საუკეთესო პრაქტიკის მისაღებად, სალექციო პროცესი შეიძლება პერიოდულად გადაიხედოს, აკადემიური პროცესის პარალელურად.

„გონის“ საგანმანათლებლო სისტემაში (ელექტრონული პორტალი) სტუდენტები ირჩევენ საგნებს. სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის გასაადვილებლად აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავს საკონსულტაციო სისტემას. გამოცდები ტარდება ელექტრონულ ფორმატში Moodle-ის პლატფორმის საშუალებით. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, კონსოლიდირებულად აინაზღაურონ გამოტოვებული სემინარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

o თვითშეფასების ანგარიში

O გასაუბრებები

O დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდმები და ხელშეკრულებები.

O დაგეგმილი და გამხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ერთდროულად გასავლელი სემინარების მაქსიმალური რაოდენობის მონიტორინგი და განსაზღვრა, ვინაიდად უნივერსიტეტი ამჟამად არ აკონკრეტებს ერთობლივად გასავლელი სემინარების მაქსიმალურ რაოდენობას.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტების ჩართულობა დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევა: არ ეხება

პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრგამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, VII სასაფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე კვლევითი ნაშრომის კომპონენტი.

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე კვლევითი ნაშრომის კომპონენტი.

პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: სასურველია, სტუდენტებმა შეაფასონ როგორც სამეცნიერო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, ასევე კვლევითი ნაშრომის კომპონენტი.

ი ვებგვერდი - https://ciu.edu.ge/

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4 (საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები.

ხელმძღვანელი თამაშობს მთავარ როლს ნაშრომის დაწერის პროცესში:

- სტუდენტის დახმარება საკვლევი თემის შერჩევაში,
- სისტემატური კონსულტაციების გაწევა კვლევის გეგმის, პროგრესისა და ნაშრომის ფორმატის შესახებ,
- ინდივიდუალური შეხვედრების გამართვა,
- შესაბამისი მასალების მიწოდება და საჭირო ლიტერატურის მოძიებაში დახმარება,
- სტუდენტის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისება.

უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ატარებს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, გამოცდილ მოწვეულ ლექტორებთან ერთად. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კსუ) ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები ზედამხედველობას უწევენ სწავლების კომპონენტებს, ასევე კვლევითი მიმართულებით ხელნზღვანელობენ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, რომ დანიშნოს საერთაშორისო თანა-ხელმძღვანელი, სტუდენტის მთავარი ხელმძღვანელის არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე. ანალოგიურად, კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესურა მზად არის უხელმძღვანელოს საერთაშორისო დოქტორანტებს, რომელთაც საკუთარი კვლევის სრულად ან ნაწილობრივ ჩატარება სურთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

გარდა ამისა, კანცლერის მიერ დამტკიცებისა და ხელმძღვანელის არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შესაძლოა დააფინანსოს დოქტორანტის ერთ-სემესტრიანი კვლევითი ვიზიტი უცხოეთის იმ უნივერსიტეტში, რომელიც ამ სტუდენტის საკვლევი სფეროს შესაბამის კვლევას ატარებს.

ხელმძღვანელი რეგულარულ კონსულტაციებს უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 3 (საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 13 |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 40 |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,33 |

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 4 (საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 9 |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 36 |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,25 |

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა) | |
|---|---|
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 17 |

| | |
|---|---|
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | 37 |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | 0,46 |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამაზე პასუხისმგებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაღალკვალიფიციური პროფესიონალები არიან. ისინი ფლობენ აუცილებელ კომპეტენციებს, რათა უზრუნველყონ სტუდენტების მიერ პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევა. პერსონალის შერჩევა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) საკანონმდებლო მოთხოვნებთან და შინაგანაწესთან შესაბამისობის საფუძველზე. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია მოწმდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. ეს მოიცავს მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, რეცენზირებული ჟურნალის სტატიებს და შემოქმედებით ან საშემსრულებლო პროექტებს ხელოვნების სფეროში. ეს მოწმობს შესაბამის დარგში პერსონალის გამოცდილებას და რელევანტურობას. მოწვეული პერსონალის ან ლექტორების კვალიფიკაცია ფასდება მათი შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამაში ჩართული პერსონალი ინიშნება ეროვნული კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის შესაბამისობას დაკისრებულ როლებთან და პასუხისმგებლობებთან.

კსუ-ში არსებული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამის გამართული და მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად. თითოეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა სიფრთხილით იმართება, რათა დააბალანსოს მათი სწავლების პასუხისმგებლობა კვლევით, შემოქმედებით ან საშემსრულებლო აქტივობებთან, ისევე როგორც სხვა დაკისრებულ მოვალეობებთან. არსებობს სამუშაო დატვირთვის ყოვლისმომცველი სქემა, რომელიც ახლდება ყოველ სემესტრში და ასახავს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სწავლების, კვლევის და სხვა პასუხისმგებლობებს. ეს სქემა ითვალისწინებს მათ როლებს ყველა დაწესებულებაში, სადაც მათ უკავიათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობები, რაც უზრუნველყოფს დაბალანსებულ და მდგრად დატვირთვას. სტუდენტების კონსულტაციისთვის საათების გამოყოფა გათვალისწინებულია სამუშაო დატვირთვის გეგმაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სწავლისა და ჩართულობის ადექვატურ მხარდაჭერას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან ძირითადად სათანადოა, რაც უზრუნველყოფს, რომ სწავლის პერიოდში, ყველა სტუდენტმა მიიღოს საჭირო ყურადღება და ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას.

კსუ აკონტროლებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებლებს. ეს ანალიზი გამოიყენება პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად და პერსონალის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტი ასევე ატარებს პერსონალის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინდიკატორების რეგულარულ მიმოხილვას, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო მოდიფიკაციას პროგრამის ხარისხისა და პერსონალის ეფექტურობის შესანარჩუნებლად.

## 1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური)

პროგრამის ხელმძღვანელი: მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს საჭირო ცოდნას და გამოცდილებას პროგრამის შემუშავებისა და წარმართვისთვის. მენეჯმენტში მყარი საგანმანათლებლო ცოდნისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და სტუდენტთა კონსულტირებაში. პროგრამის ხელმძღვანელია ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნეს ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ხელმძღვანელის კვალიფიკაცია ასევე მხარდაჭერილია სამეცნიერო კვლევებით ან/და დარგში პრაქტიკული საქმიანობით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ლიდერობის აუცილებელ სტანდარტებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, რაც ხელს უწყობს მის მუდმივ გაუმჯობესებას.

დამხმარე პერსონალი პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ადეკვატური რაოდენობით, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება მათ როლებს. ეს პერსონალი პასუხისმგებელია აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე; ისინი ეხმარებიან სტუდენტებს საგანმანათლელო პროცესში ეფექტურ ნავიგაციაში. ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მათი ფუნქციების შეუფერხებლად შესრულებას, რაც ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი 20.7%-ა, შენარჩუნების კოეფიციენტია - 78.6%; ხოლო მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი - 30%, შენარჩუნების კოეფიციენტია 62.5%.

პროგრამისთვის აკადემიური/კვლევითი პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით არის 3.5.

| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, | პროგრამაში ჩართული | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის | მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე | მათ შორის, აფილირებულ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პერსონალის რაოდენობა | მქონე პერსონალი | პერსონალი, დარგობრივი მიმართულებით. | ი აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 30 | 21 | 21 | 24 |
| - პროფესორი | 4 | 4 | 4 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 21 | 13 | 13 | 17 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 4 | 4 | 4 | 4 |
| - ასისტენტი | 1 | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 12 | 4 | 4 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

## 2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური)

პროგრამის ხელმძღვანელი: ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის მაღალკვალიფიციური პიროვნება, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ზედამხედველობისთვის. პროგრამის ხელმძღვანელია ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. შესაბამისი აკადემიური სერთიფიკატების და ფინანსების სფეროში პროფესიული გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელების ყველა ასპექტში, დაწყებული კურსის შემუშავებიდან, სტუდენტთა კონსულტირების ჩათვლით. ხელმძღვანელის კომპეტენცია ვლინდება ფინანსურ სფეროში კვლევის ან/და პროფესიულ საქმიანობაში მონაწილეობით, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შედეგებთან.

დამხმარე პერსონალი პროგრამას მხარს უჭერს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ადექვატური რაოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი როლების შესაბამისი კვალიფიკაცია. ისინი ეხმარებიან სტუდენტებს აკადემიურ საკითხებში და ხელს უწყობენ პროგრამის გამართულ მუშაობას. დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

პროგრამისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 10.5%, შენარჩუნების კოეფიციენტია - 89.3%; ხოლო მოწვეულია პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი - 32%, შენარჩუნების კოეფიციენტია 66.7%.

პროგრამისთვის აკადემიური/კვლევითი პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 2,23.

| პროგრამა 2. ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი | მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით. | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 29 | 18 | 18 | 23 |
| - პროფესორი | 4 | 4 | 4 | 4 |
| - ასოცირებული პროფესორი | 20 | 11 | 11 | 15 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 3 | 3 | 3 | 3 |
| - ასისტენტი | 2 | - | - | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 13 | 5 | 5 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

### 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)

პროგრამის ხელმძღვანელი: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული გამოცდილება. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის ფართო ცოდნით, ხელმძღვანელს აქვს ის გამოცდილება, რომელიც საჭიროა ისეთი პროგრამის შემუშავებისთვის, როგორიც აკმაყოფილებს სტუდენტებისა და ინდუსტრიის საჭიროებებს. პროგრამის ხელმძღვანელია ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში, სტუდენტებს უწევს კონსულტაციას და მონაწილეობას იღებს პროგრამასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, რაც უზრუნველყოფს მის უწყვეტ განვითარებასა და შესაბამისობას.

დამხმარე პერსონალი: პროგრამა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, რომელთა კვალიფიკაციები მათზე დაკისრებულ

მოვალეობებს შეესაბამება. ეს პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ ფუნქციონირებას; ისინი ეხმარებიან სტუდენტებს აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით და წვილი შეაქვთ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

პროგრამისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 64.5.7%, შენარჩუნების კოეფიციენტია 41.2%; მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 0%, შენარჩუნების კოეფიციენტი არის 100%.

პროგრამისთვის აკადემიური/კვლევითი პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით არის 3.5.

| პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი | მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით. | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 14 | 13 | 13 | 11 |
| - პროფესორი | 4 | 4 | 4 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 9 | 8 | 8 | 7 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 4 | 3 | 3 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

### 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური)

პროგრამის ხელმძღვანელი: საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიკაცია, როგორც აკადემიური სერთიფიკატები, ასევე პროფესიული გამოცდილება მარკეტინგში. ხელმძღვანელი ჩართულია არამხოლოდ პროგრამის

განვითარებაში, არამედ სტუდენტთა კონსულტირებასა და პროგრამასთან დაკავშირებულ ღონისძიებებშიც. ხელმძღვანელის აკადემიური ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ინდუსტრიის სტანდარტებთან და ბაზრის განვითარებად ტენდენციებთან. პროგრამის ხელმძღვანელია ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დამხმარე პერსონალი: პროგრამა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე წვდომას. ამ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს, რაც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურ მართვას. ადმინისტრაციული პერსონალი არსებით დახმარებას უწევს სტუდენტებს, ეხმარება მათ აკადემიურ და ლოგისტიკურ საკითხებში.

· პროგრამისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 11.8%, შენარჩუნების კოეფიციენტია 85.7%; მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 66.7%, შენარჩუნების კოეფიციენტია 50%.

პროგრამისთვის აკადემიური/კვლევითი პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 11.

| პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი | მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით. | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 10 | 10 | 10 | 6 |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 7 | 7 | 3 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 1 | - | - | - |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | - |

5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური)

პროგრამის ხელმძღვანელი: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური აკადემიკოსი. ხელმძღვანელს, გარდა შესაბამისი კვალიფიკაციებისა, აქვს სათანადო განათლება და სერიოზული კვლევითი საქმიანობა, რაც მოიცავს რეცენზირებულ პუბლიკაციებს და აკადემიურ პროექტებში შეტანილ წვლილს. . პროგრამის ხელმძღვანელი არის ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის ყველა ასპექტში, მათ შორის ხელმძღვანელობს სადოქტორო კვლევებს და მონაწილეობს აკადემიურ ღონისძიებებში. ხელმძღვანელი ასევე თანამშრომლობს საერთაშორისო ხელმძღვანელებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გლობალურ სტანდარტებს და საშუალებას აძლევს უცხოელ დოქტორანტებს უნივერსიტეტში ჩაატარონ კვლევები.

დამხმარე პერსონალი: სადოქტორო პროგრამას ჰყავს სათანადო გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თავდადებული გუნდი. ეს თანამშრომლები ეხმარებიან როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს, ხელს უწყობენ პროგრამის კვლევით და საგანმანათლებლო კომპონენტებს. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ როლებს, რაც დოქტორანტებისა და ხელმძღვანელებისთვის უზრუნველყოფს ეფექტურ მხარდაჭერას .

პროგრამისთვის, ბოლო 5 წლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 29.4%, შენარჩუნების კოეფიციენტია 70.6%; მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი არის 66.7%, შენარჩუნების კოეფიციენტია 50%. პროგრამისთვის აკადემიური/კვლევითი პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით არის 3.5.

პროგრამისთვის აღსანიშნავია შემდეგი თანაფარდობები:

- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით - 0,14.
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით -0,26.
- ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა - 0,35.

სადოქტორო პროგრამის მოქმედი დებულებით ეს კარგი მონაცემია, მაგრამ ახალი დებულებით ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება და 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რომელიც ეხება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტს, შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული გამოწვევები. კარგი იქნება, თუ კსუ დაიჭერს თადარიგს და განიხილავს აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდის საკითხს სადოქტორო პროგრამაზე. თუკი სადოქტორო პროგრეამა კვლავ ასეთი მოთხოვნადი დარჩება.

| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი | მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით. | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 13 | 13 | 13 | 8 |
| - პროფესორი | 4 | 4 | 4 | 4 |
| - ასოცირებული პროფესორი | 9 | 9 | 9 | 4 |
| - ასისტენტ–პროფესორი | - | - | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 6 | 6 | 6 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | |

დოკუმენტაციის, ადგილზე ვიზიტის და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა მოიპოვა საკმარისი გარანტია იმისა, რომ პროგრმის ხელმძღვანელების კვალიფიკაციები და ჩართულობა უზრუნველყოფილია თითოეული პროგრამისთვის, ისევე როგორც ადეკვატური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამის თითოეულ ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი დარგის კომპეტენცია; დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს თითოეული პროგრამის შეუფერხებელ და მდგრად ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერული პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ინსტრუქცია;
- კლასტერის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- პერსონალის პირადი საქმეები;

- ინფორმაცია რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების, / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტების შესახებ;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- გასაუბრების შედეგები;
- ვებ-გვერდი: https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:

- სადოქტორო პროგრამის მოქმედი დებულებით ეს კარგი მონაცემია, მაგრამ ახალი დებულებით ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანება , 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად) შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული გამოწვევები. უმჯობესი იქნება, თუ კსუ დაიჭერს თადარიგს და განიხილავს აფილირებული აკადემიური პერსონალის გაზრდის საკითხს სადოქტორო პროგრამაზე. თუკი სადოქტორო პროგრამა კვლავ ასეთი მოთხოვნადი დარჩება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანება , 2024 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,VIII საფეხური | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელებ ი | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [4] | მათ შორის, აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 20 | 11 | 7 |

[4] ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

| | | | |
|---|---|---|---|
| - პროფესორი | 3 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 11 | 7 | 5 |
| - ასისტენტ–პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | 6 | 2 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | _ |

| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“) | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელებ ი | მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით.[5] | მათ შორის, აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 18 | 16 | 10 |
| - პროფესორი | 4 | 4 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 9 | 7 | 6 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 4 | 4 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | _ |

| პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო მარკეტინგი“) | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელებ ი | მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით.[6] | მათ შორის, აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი |

[5] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

[6] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

| | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 5 | 3 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 1 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | _ |

2012 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამას საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში და სადოქტორო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირებაში, 2014 წლიდან კი სამაგისტრო პროგრამას საერთაშორისო მარკეტინგის მიმართულებით.

პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მოწვეული ლექტორები.

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და სხვა სამეცნიერო საქმიანობით - მათი კვლევითი საქმიანობის ინდიკატორები.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაამტკიცა (2014 წლის 27 მარტის №01-36 ბრძანება) სამაგისტრო დებულება, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესს, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებებს. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი (დამტკიცებულია 2022 წლის 23 დეკემბრის №01-149 ბრძანებით).

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება დამტკიცდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის No32 ოქმით, რომელიც განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო სწავლების პრინციპებსა და წესებს, ასევე ფაკულტეტზე

სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტებს. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება 31.08.2018 წლის No57 გადაწყვეტილებით.

უნივერსიტეტს ასევე აქვს დოქტორანტურის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოორდინაციას და სადოქტორო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ორგანიზაციულ საქმიანობას.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისთვის, რომელიც აკმაყოფილებს მაგისტრატურის/დოქტორანტურის მოთხოვნებს და ასახავს პროგრამის სპეციფიკას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას;

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა სადოქტორო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცედურა. უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის ან/და სწავლის შედეგების ან/და სწავლა-სწავლების მეთოდების ან/და სავალდებულო ლიტერატურისა და სასწავლო მასალის და/ ან შეფასების სისტემის შეცვლას .

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის CV;
- „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის CV;
- „ბიზნეს ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის CV;
- სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები;
- მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ინფორმაცია რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების, / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი; https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რეგულარულ შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური მიწოდების უზრუნველსაყოფად. ამ შეფასებებს ატარებს და აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; შეფასებები ფოკუსირებულია მრავალ ასპექტზე, მათ შორის პერსონალის სწავლებაზე, კვლევასა და შემოქმედებით საქმიანობაზე. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც პერსონალის მუშაობის, ასევე პროგრამის საერთო ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შეფასების პროცესი: შეფასებები ტარდება ყოველ სემესტრში და მოიცავს ყოველი პროგრამის ფარგლებში მინიმუმ ხუთი სავალდებულო კურსის განხილვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ესწრება ლექციებს, განიხილავს სწავლების მეთოდოლოგიას და აფასებს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის პროგრესს. პერსონალის წევრები წინასწარ ეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს; მათ ეცნობებათ ლექციის შეფასების დროის შესახებ .

პერსონალის კმაყოფილების კვლევა: უსდ რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალით კმაყოფილების შესახებ. ამ კვლევების შედეგები, სხვა შეფასების მონაცემებთან ერთად, კონფიდენციალურია და გამოიყენება პერსონალისთვის უკუკავშირის შესაქმნელად. პროგრამების ხელმძღვანელებს მიეწოდებათ რეკომენდაციები ნებისმიერი ხარვეზზე რეაგირებისთვის; შემუშავებულია მექანიზმები საკითხების აღმოსაფხვრელად და პერსონალის განვითარების ხელშეწყობისთვის .

შეფასების შედეგების გამოყენება: პერსონალის შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად და სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. ეს შეფასებები ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას პერსონალის დაწინაურებასთან და მხარდაჭერის ისეთი მექანიზმების გამოყოფასთან დაკავშირებით, როგორიცაა ტრენინგი და კვლევითი პროექტების დაფინანსება .

უსდ მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. მათი განვითარების ხელშესაწყობად ეწყობა მთელი რიგი აქტივობები, მათ შორის ტრენინგ-სესიები, ვორქშოფები და საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობები. ეს აქტივობები იმართება წელიწადში ერთხელ მაინც და გამიზნულია როგორც სწავლების, ასევე კვლევითი კომპეტენციების გასაძლიერებლად.

პროფესიული განვითარების აქტივობები: უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, რათა დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს კვლევის დაფინანსების მოპოვებაში და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობაში. ინდივიდუალურ კონსულტაციებს უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტი, რათა ხელი შეუწყოს პერსონალის პიერ პროექტის განაცხადების შევსებას და გავლენიან ჟურნალებში კვლევის გამოქვეყნებას. მაგალითად,

2021-2023 წლებში ჩატარდა არაერთი ტრენინგი ელექტრონული ბაზების, კვლევის ინსტრუმენტებისა და პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ .

კვლევითი სამუშაოების მხარდაჭერა: უსდ უზრუნველყოფს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდასაჭერად. ეს მოიცავს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას, სამეცნიერო პროექტებს და კვლევების გამოქვეყნებას უმაღლესი დონის ჟურნალებში. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს დებულებებს ამ რესურსებისთვის, რაც პერსონალისთვის უზრუნველყოფს შესაძლებლობებს, რომ წვლილი შეიტანონ თავიანთი დარგის განვითარებაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა: უსდ ხელს უწყობს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ჩაერთონ საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობაში. უნივერსიტეტმა დაამყარა პარტნიორობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მონაწილეობს კონსორციუმებში, რაც უზრუნველყოფს წვდომას გლობალურ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა Scopus და ScienceDirect. გარდა ამისა, რეგულარულად ეწყობა ვებინარები და სემინარები, რათა პერსონალი იყოს ინფორმირებული საერთაშორისო კვლევითი შესაძლებლობების შესახებ .

ტრენინგი ელექტრონული სწავლებისა და დისტანციური განათლების სფეროში: აცნობიერებს რა ელექტრონული სწავლების მნიშვნელობას, უნივერსიტეტი უტარებს ტრენინგს თავის თანამშრომლებს ონლაინ სწავლებისა და შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების შესახებ. ეს ტრენინგები უზრუნველყოფს, რომ პერსონალს შეეძლოს მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება თუნდაც დისტანციურ ან ჰიბრიდულ სასწავლო გარემოში .

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს ყოვლისმომცველ და სტრუქტურირებულ მიდგომას პროგრამის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მიმართ. რეგულარული შეფასებების, კმაყოფილების გამოკითხვებისა და ტრენინგებისა და რესურსების უზრუნველყოფის გზით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავისი პერსონალის სწავლების, კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესებას. ეს მიდგომა არა მხოლოდ ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, არამედ ზრდის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს და მდგრადობას.

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამის მიხედვით, არ არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამორჩეული პროფესიული განვითარება.

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამის მიხედვით, არ არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამორჩეული პროფესიული განვითარება.

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამის მიხედვით, არ არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამორჩეული პროფესიული განვითარება.

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამის მიხედვით, არ არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამორჩეული პროფესიული განვითარება.

პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,VIII საფეხური

პროგრამის მიხედვით, არ არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამორჩეული პროფესიული განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ინფორმაცია რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების, / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტების შესახებ;
- გასაუბრების შედეგები;
- ვებ-გვერდი; https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:  არ ეხება

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,  VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები:  არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5  ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,VIII საფეხური

რეკომენდაციები:  არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | | | | |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (კსუ) ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა კლასტერად დააჯგუფა, რაც უზრუნველყოფს მათ საჭირო ინფრასტრუქტურით, ინფორმაციისა და ტექნიკური რესურსებით, რომლებიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს რესურსები მოიცავს წვდომას ბიბლიოთეკის მასალებზე, ლაბორატორიებს, ციფრულ რესურსებსა და სხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია თითოეული პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის.

კსუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ხუთი ლაბორატორია შეიქმნა სხვადასხვა სექტორის წარმატებულ ორგანიზაციებთან პარტნიორობით. ესენია:

- მეწარმეობისა და ინოვაციის: პარტნიორობა ექსპორტის განვითარების ასოციაციასთან და Investme-სთან.
- ფინანსური განათლება: მთავარი პარტნიორი Finedu.
- ორმაგი განათლება: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით.
- მარკეტინგი: პარტნიორობა ჯეპრასთან და ბიზნეს მედია სექტორთან.

● SDG-ის ლაბორატორია მასპინძლობს გაეროს ეკონომიკური და სოციალური დეპარტამენტის (UN DESA) მაღალი დონის ეროვნულ სამუშაო შეხვედრას, ტრენინგებსა და სტუდენტურ კონფერენციებს, რომლებიც ორგანიზებულია საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისის (UN RCO) მონაწილეობით და ატარებს სხვადასხვა აქტივობებს.

ეს ლაბორატორიები იმუშავებენ კსუ-ს ბიზნესის ინსტიტუტის ფარგლებში და აქტიურად შეუწყობენ ხელს სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ ინიციატივებსა და პროექტებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ლაბორატორიამ მჭიდროდ ითანამშრომლოს ცნობილ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან გავლენიანი პროექტების განსახორციელებლად. გარდა ამისა, კსუ-ს კვლევითი ცენტრი იწყებს უპრეცედენტო ინიციატივას სახელწოდებით „ახალგაზრდა მკვლევართა პროგრამა" ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ეს ინიციატივა დაეფუძნება „ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტის" კონცეფციას.

პროგრამის პრაქტიკული ასპექტების მხარდასაჭერად კსუ-მ გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტებთან. უფრო მეტიც, საერთაშორისო ჩართულობის გასაძლიერებლად და პროფესორებისა და სტუდენტების მობილობის გასაადვილებლად, უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულებები მრავალ უცხოურ უნივერსიტეტთან.

პროგრამის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. ამ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია ადეკვატური ინფრასტრუქტურით, მათ შორის სალექციო დარბაზებით, ბიბლიოთეკებით და სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიებით. ამ რესურსებს რეგულარულად უფრთხილდებიან და აახლებენ, რათა აკმაყოფილებდეს სტუდენტებისა და პერსონალის მზარდ საჭიროებებს, სხვადასხვა პროგრამებზე.

ბიბლიოთეკა და საინფორმაციო რესურსები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა მხარდაჭერილი იყოს ყოვლისმომცველი საბიბლიოთეკო სერვისებით, რომლებიც უზრუნველყოფენ წვდომას ძირითად ლიტერატურაზე, სასწავლო მასალებსა და თანამედროვე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე. ეს რესურსები აუცილებელია როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობისთვის და ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ფორმატში.

● ბიბლიოთეკა და განახლებები: კსუ-ს ბიბლიოთეკა მოიცავს ყველა ძირითად ლიტერატურას, რომელიც მითითებულია პროგრამების სილაბუსებში. ბიბლიოთეკა მუდმივად განახლებადია, რათა შეიცავდეს უახლეს სახელმძღვანელოებს, აკადემიურ ჟურნალებს და ციფრულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა განახლებულ მასალებზე, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს ( თვითშეფასების ანგარიში).

● ციფრული რესურსები და საერთაშორისო მონაცემთა ბაზები: კსუ სტუდენტებს აძლევს წვდომას საერთაშორისო ელექტრონულო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე, მათ შორის Scopus, ScienceDirect და EBSCO-ზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს იყვნენ ინფორმირებულნი

თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების შესახებ. ეს რესურსები გადამწყვეტ როლს თამაშობს იმაში, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს.

რესურსების ხელმისაწვდომობა. კსუ უზრუნველყოფს, რომ მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად იყოს ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. რესურსები ხელმისაწვდომია როგორც კამპუსში, ასევე დისტანციურად, სტუდენტებისთვის მიწოდებული მკაფიო მითითებებით, თუ როგორ მიიღონ და გამოიყენონ ისინი.

- სტუდენტებისა და პერსონალის წვდომა: პროგრამებში ჩართულ ყველა სტუდენტს და პერსონალს აქვს წვდომა აუცილებელ რესურსებზე, მათ შორის ლაბორატორიებსა და ციფრულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მხარს უჭერენ სწავლების, სწავლისა და კვლევით აქტივობებს. ეს რესურსები განუყოფელია პროგრამის როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კომპონენტების წარმატებისთვის.
- რესურსების გამოყენების ტრენინგი: კსუ დგამს აქტიურ ნაბიჯებს, რათა სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია ხელმისაწვდომ რესურსებზე; ატარებს ტრენინგებს ამ რესურსების ეფექტურად მოხამრებაზე; უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ რესურსებზე წვდომა, რათა მაქსიმალურად ისარგებლონ მათთვის არსებული ინსტრუმენტებითა და მასალებით.

პროგრამისთვის განკუთვნილი რესურსები

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამა სარგებლობს მასზე მორგებული რესურსებით, რომლებიც შეესაბამება მის კონკრეტულ საგანმანათლებლო მიზნებს:

პროგრამა 1. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ამ პროგრამას აქვს წვდომა უამრავ რესურსზე, რომელიც მხარს უჭერს როგორც თეორიულ სწავლას, ასევე მენეჯმენტში პრაქტიკული უნარების განვითარებას. ბიბლიოთეკაში ინახება მენეჯმენტის ძირითადი სახელმძღვანელოები და სტუდენტებს აქვთ წვდომა მონაცემთა ბაზებზე როგორც კვლევითი საქმიანობისთვის, ასევე შემთხვევათა შესასწავლად.
პროგრამა 2. პროგრამა ფინანსებში: ფინანსების სტუდენტებს მიეწოდებათ სპეციალიზებული რესურსები, მათ შორის ფინანსური მონაცემთა ბაზები, ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტები და ძირითადი ლიტერატურა საბანკო, ბუღალტრული აღრიცხვისა და კორპორატიული ფინანსების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. პროგრამა 3 . პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში: ამ პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ წვდომით საერთაშორისო ბიზნესის ქეისებზე, გლობალურ ბიზნეს მონაცემთა ბაზებზე და სტრატეგიული მართვის რესურსებზე, რაც ამზადებს მათ გლობალურ ბაზარზე ლიდერობის როლებისთვის.
პროგრამა 4. პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგიში: ეს პროგრამა მხარდაჭერილია თანამედროვე მარკეტინგული ინსტრუმენტებით, მათ შორის ციფრული მარკეტინგის პროგრამული უზრუნველყოფით, მომხმარებელთა ქცევის მონაცემთა ბაზებით და საერთაშორისო მარკეტინგული სტრატეგიების შემთხვევის ანალიზით. ეს რესურსები გადამწყვეტია სტუდენტების მოსამზადებლად პროფესიული როლებისთვის როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე

პროგრამა 5. სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება"; დოქტორანტებს აქვთ წვდომა ვრცელ კვლევით მონაცემთა ბაზებზე, რეცენზირებად ჟურნალებზე და სპეციალიზებულ რესურსებზე, რომლებიც მხარს უჭერს ბიზნესის ადმინისტრირებაში მოწინავე კვლევებს. პროგრამა ხელს უწყობს საერთაშორისო კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებას სადისერტაციო ნაშრომებისა და სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა კამპუსი, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. განხორციელდა სილაბუსში არსებული წიგნების შერჩევითი შემოწმება. გაიტესტა კომპიუტერულ კლასებში ჩატვირთული პროგრამების, შემოწმდა საგამოცდო ოთახები. რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო სათანადო დასტური, რომ მატერიალური რესურსები ვარგისია ამ პროგრამებისთვის.

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დგინდება, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი კლასტერში შემავალი ყველა პროგრამისთვის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და რეგულარულად განახლებულ მატერიალურ, საინფორმაციო და ციფრულ რესურსებს. ეს რესურსები გადამწყვეტია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც მხარს უჭერს როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკულ კვლევას. უნივერსიტეტის ვალდებულება, რომ შეინარჩუნოს და გააძლიეროს ეს რესურსები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ წარმატებას და მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ინფორმაცია რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების შესახებ, მათ შორის საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების, / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტების შესახებ;
- გასაუბრების შედეგები;
- ვებ-გვერდი: https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი შეფასებულია მათი ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით. ანალიზი მოწმობს, რომ საბიუჯეტო ასიგნებები აკმაყოფილებს პროგრამულ მოთხოვნებს შემდეგი გზებით:

პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობა: ფინანსების გამოყოფა მორგებულია პროგრამის ოპერატიული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, მათ შორის აკადემიური პერსონალის, სასწავლო მასალის, ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური მომსახურებისთვის.

- ხარჯების ეფექტურობა: საბიუჯეტო ასინებები არის ეფექტური და კარგად განაწილებული, რაც უზრუნველყოფს, რომ არსებული სახსრები ეფექტურად გამოიყენებოდეს განათლების მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად და ზედმეტი ხარჯვის მინიმუმამდე დასაყვანად.

ბიუჯეტის მიმოხილვა მიუთითებს იმაზე, რომ სახსრების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია, განსაკუთრებით სტუდენტების ჩარიცხვასთან და აკადემიურ შედეგებთან დაკავშირებით. თითო სტუდენტზე გათვლილი ხარჯი გულდასმით კონტროლდება და რეგულირდება ფინანსური ბალანსის უზრუნველსაყოფად.

მთლიანობაში კლასტერში საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ მდგრადობას მხარს უჭერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. შემდეგი ძირითადი პუნქტები ასახავს იმას, თუ როგორ უწყობს ხელს ფინანსური რესურსები პროგრამის მდგრადობას:

- გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმვა: პროგრამის ბიუჯეტი ასახავს გრძელვადიან ფინანსურ გეგმას, რომელიც მოიცავს როგორც მუდმივი, ისე ცვლადი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს. ეს მოიცავს სახელმწიფო დაფინანსებას, სწავლის საფასურს და შემოსავალს პარტნიორობებიდან ან კვლევის გრანტებიდან.
- დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები: პროგრამა სარგებლობს შემოსავლის დივერსიფიცირებული ნაკადებით, რომლებიც მხარს უჭერენ მის საოპერაციო ხარჯებს და სამომავლო გაფართოებას. მათ შორისაა მუდმივი დაფინანსება სახელმწიფოდან ან უნივერსიტეტიდან, ერთჯერადი გრანტები, კვლევის დაფინანსება და სხვა გარე ფინანსური შენატანები.
- რისკის შემცირება: ფინანსური გეგმა მოიცავს დებულებებს რისკის მართვისთვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაცვას მოულოდნელი ფინანსური რყევებისგან, როგორიცაა ჩარიცხვების უეცარი ვარდნა ან გარე დაფინანსების შემცირება.

უსდ-მ ასევე გამოყო საკმარისი თანხები იმ გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარად, რამაც შესაძლოა შეარყიოს პროგრამის ფინანსური მდგომარეობა.

თითოეული პროგრამის საბიუჯეტო მონაცემები შემდეგია:

პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში:

მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან 157 310 ლარი, ჯამური საოპერაციო ხარჯები 59 300, პროგრამის სუფთა გამომუშავებული სარგებელი 98 010.

პროგრამა 2. მანეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან 483 570 ლარი, ჯამური საოპერაციო ხარჯები 108 023, პროგრამის სუფთა გამომუშავებული სარგებელი 375 547

პროგრამა 3. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან 82500 ლარი, სულ საოპერაციო ხარჯები 46500; პროგრამის სუფთა სარგებელი 36,000.

პროგრამა 4. საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან 82 500 ლარი, სულ საოპერაციო ხარჯები 51 000; პროგრამის სუფთა სარგებელი 31,500

პროგრამა 5. სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება";

მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან 122 750 ლარი, ჯამური საოპერაციო ხარჯები 92 450, პროგრამის სუფთა გამომუშავებული სარგებელი 30 300

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მთლიანი მონაცემები ასეთია: მთლიანი შემოსავალი რეალიზაციიდან 2,140,620 ლარი, ჯამური საოპერაციო ხარჯები 1,187,685, ფაკულტეტის სუფთა გამომუშავებული სარგებელი 933,810.

ფაკულტეტის სუფთა გენერირებული სარგებელი მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ცენტრალიზებულ ბიუჯეტში. ცენტრალურ ბიუჯეტში აკუმულირდება ყველა ფაკულტეტის სუფთა გამომუშავებული სარგებელი, საიდანაც იფარება ადმინისტრაციული და სხვა ფიქსირებული ხარჯები, მათ შორისაა სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სხვა შესაბამისი საქმიანობის დაფინანსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
- გასაუბრების შედეგები;
- ვებ-გვერდი; https://ciu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა,VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| პროგრამის ფინანსური მდგრადობა | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა( VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | | | | |
| პროგრამა 4 საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მიჰყვება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“ ციკლს. ეს იწყება პროგრამის შემუშავებით, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მოთხოვნებს. როგორც აღინიშნა, სასწავლო პროგრამების შექმნამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს გამოკითხვებს პროფესორებსა და მასწავლებლებს შორის იმის შესაფასებლად შეესაბამება თუ არა მინიჭებული კრედიტები, კურსის საათები და სტუდენტების დატვირთვა რეალურ საჭიროებებს. ლექტორები უზრუნველყოფენ თითოეული თემისათვის საჭირო დროის დაყოფას როგორც საკონტაქტო და დამოუკიდებელ სწავლად, რათა კრედიტის განაწილება ასახავდეს ინვესტიციისათვის

საჭირო დროს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემდეგ, იგი გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი შესაბამისობა უნივერსიტეტის სტანდარტებთან და რეგულაციებთან. დადებითად შეფასების შემთხვევაში, პროგრამა ეგზავნება აკადემიურ საბჭოს საბოლოო დამტკიცებისათვის.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ პროგრამის შეფასება გრძელდება განხორციელების შემდეგაც, გამოხმაურების საფუძველზე მიმდინარე შეფასებებითა და ცვლილებებით. უნივერსიტეტს აქვს ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს კურსებისა და პროფესორების შეფასებას სტუდენტების მიერ, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატიურ შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერსონალთან და სტუდენტებთან თანამშრომლობით. ეს შეფასება მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, პროგრამების ეფექტურად ადმინისტრირებას და პროგრესის მონიტორინგს. პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები და კითხვარები იძლევა დამატებით უკუკავშირს პროგრამების შემდგომი დახვეწისათვის. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია ამ შეფასებებზე დაყრდნობით ადასტურებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება აკადემიურ საბჭოს. სწავლების ხარისხი სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად ფასდება.

პროგრამების თვითშეფასების გუნდები მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს ფაკულტეტის დონეზე და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებებს. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში; როლები გადანაწილებულია მათი კომპეტენციების მიხედვით. აკადემიური პერსონალი ძირითადად პასუხისმგებელი იყო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაზე, ასევე სასწავლო გეგმებში მოცემულ კურსებზე, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი დაკავებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაცემების შეგროვებით.

გადაუდებელი დისტანციური სწავლება თანაბრად შეეხო ამ კლასტერში მოცემულ ხუთივე პროგრამას. Covid19-ის გავრცელების გამო უნივერსიტეტი თითქმის ოთხი სემესტრი ატარებდა სწავლებას ონლაინ რეჟიმში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებენ, პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით შემუშავებული იყო გაიდლაინები და დამატებითი პოლიტიკა/მექანიზმები. უფრო მეტიც, ეკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სწავლება-სწავლის აქტივობების წარმართვაში მათ მხარდაჭერა მიიღეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან. ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის წარმომადგენლები აკადემიური პერსონალის წევრებს პროაქტიულად გზამკვლევობდნენ ონლაინ სწავლების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მართვის ეფექტიანობა
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულირების წესები;
- პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღწერილი, სასწავლო პროგრამების გარე შეფასება, ავტორიზაციასა და აკრედიტაციის ძირითად ზომებთან ერთად, წარმოადგენს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებით ნაწილს. საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ისევე, როგორც საქართველოს და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან.

პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისადმი ვალდებულების ფარგლებში, გარე კოლეგიური შეფასებები ჩატარდა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მიერ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მიმოიხილა პროგრამები და წარმოადგინა ღირებული რეკომენდაციები აკადემიური და კვლევითი გარემოს გასაუმჯობესებლად. როგორც დოკუმენტებშია აღნიშნული, პროგრამის ძირითადი კურსის მოდულის გასაძლიერებლად მან რეკომენდაცია გაუწია მასში რამდენიმე კურსის დამატებას. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ეს რეკომენდაციები საგულდაგულოდ იქნა განხილული, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო მათი შესაბამისობა

პროგრამის მიზნებთან. დეპარტამენტმა სერიოზულად გაითვალისწინა წინადადებები, რაც ასახავს აკადემიური სტრუქტურის გაძლიერებისა და უფრო ძლიერი საგანმანათლებლო გამოცდილების მიწოდებისადმი პროგრამის ვალდებულებას. გარდა ამისა, უცხოელმა პროფესორმა ესპანეთიდან შეადგინა მოკლე შეფასება, რომლითაც შესთავაზა შემდგომი მოსაზრებები. როგორც პროგრამების ხელმძღვანელების, ასევე თვითშეფასების ჯგუფის მიერ გასაუბრებისას აღინიშნა, ორივე ექსპერტის ყველა რჩევა და რეკომენდაცია საგულდაგულოდ იქნა განხილული და მათი გამოხმაურება სრულად იყო ინტეგრირებული პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება კლასტერში მოცემული პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.
- კლასტერში მოცემული პროგრამების გარე საექსპერტო შეფასებები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები:  არ ეხება

პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4.  სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში, VII საფეხური

რეკომენდაციები:  არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5.  სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, VIII საფეხური

რეკომენდაციები:  არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაში მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან | არ შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში (VI საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბიზნესის მენეჯმენტში (VII საფეხური) | | | | |
| პროგრამა 4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში (VII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (VIII საფეხური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შემუშავება მოიცავდა აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების და დამსაქმებლების აქტიურ მონაწილეობას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს პროგრამების სწავლის შედეგების განსაზღვრაში. გარდა ამისა, ყოველი სემესტრის დასაწყისში ჩატარებული გამოკითხვების მეშვეობით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად რთავს სტუდენტებსა და პროფესორებს პროგრამებზე უკუკავშირის მიწოდებაში.

ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის ეფექტური მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს სპეციალურად შემუშავებულ კითხვარებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირის შესაგროვებლად. ყოველი

სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ თავიანთ კურსებს და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასევე აფასებს პროგრამებს, ხოლო კურსდამთავრებულები აწვდიან ინფორმაციას საკუთარი გამოცდილების თაობაზე. როგორც პოტენციური, ისე მოქმედი დამსაქმებლების გამოკითხვა ხდება კურსდამთავრებულთა უნარებისა და კომპეტენციების შესაბამისობის შესაფასებლად. გარდა ამისა, დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევა პროგრამების შესაფასებლად უზრუნველყოფს მათი ხარისხის ობიექტურ შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფმა ორჯერ გადაამოწმა სტუდენტებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ თუ არა ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის უკუკავშირის მიწოდებაში. სტუდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ შეავსეს კითხვარები, მხოლოდ ზოგიერთმა აღნიშნა, რომ დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხა ამის გაკეთება.

როგორც ეს იქნა აღწერილი ადგილზე ვიზიტის დროს, უკუკავშირის შეგროვების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აანალიზებს მონაცემებს, რათა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები ან შეინარჩუნოს მაღალი სტანდარტები, საჭიროებისამებრ. პროგრამის ხელმძღვანელები განიხილავენ პროგრამებს და საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანს წარუდგენენ მოდიფიკაციის წინადადებებს. ეს წინადადებები შემდეგ გადაეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. დადებითი შეფასების მიღების შემდეგ, პროგრამები და სილაბუსები ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საბოლოო შემოწმებისათვის, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი აკმაყოფილებენ აკრედიტაციის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც შედეგები მიუთითებდა რაიმე ისეთ საკითხზე, რამელმაც გამოიწვია პროგრამის დახურვა. როგორც ითქვა, არის ერთი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევა, რომლის დროსაც უნივერსიტეტმა გადაწყვიტა აკრედიტაცია არ განახლებულიყო და ეს პროგრამა დახურულიყო უახლოეს მომავალში.

როგორც ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებმა განმარტეს, ამ შეფასებების შედეგები არა მხოლოდ ხელს უწყობს კონკრეტული საკითხების გადაჭრას, არამედ გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების საერთო განხორციელების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რეგულარულ განახლებას, ბიბლიოთეკის შესაბამისი ლიტერატურით აღჭურვას და პროფესორებსა და სტუდენტებს შორის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას. თანხები ასევე გამოიყოფა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებისა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

გასაუბრებებისას აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმილ ინტერვალებში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ტარდება წინასწარ განსაზღვრული საკლასო დაკვირვების შაბლონით. ეს დაკვირვებები საგულდაგულოდ არის დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა კოლეგების მიერ. საკლასო ოთახში დაკვირვება შეიძლება ჩაატარონ კოლეგებმა იმავე პროგრამიდან, ან იმავე დაწესებულების სხვადასხვა პროგრამებიდან. ამ კოლეგიური დაკვირვების პროცესის გარდა, პროცესში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი პროგრამის ხელმძღვანელთან ან ფაკულტეტის დეკანთან ერთად. ეს თანამშრომლობა უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის ყოვლისმომცველ შეფასებას, ფოკუსირებულია არა მხოლოდ პედაგოგიურ მეთოდებზე, არამედ ინსტიტუციურ მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზე.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, რომ მაგისტრანტები და დოქტორანტები აქტიურ როლს ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებაში. ეს შეფასებები რეგულარულად გროვდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების კვლევითი გამოცდილება და ხელმძღვანელობისგან მიღებული მითითებების შესაბამისობა დაწესებულების აკადემიურ სტანდარტებთან. ამ შეფასებებიდან მიღებული გამოხმაურება აუცილებელია კვლევითი გარემოს გასაუმჯობესებლად და სამეცნიერო ხელმძღვანელობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოთვლილია პროგრამების როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ანალოგები, რაც ცხადყოფს, რომ პერიოდულად ხდება პროგრამების შედარება ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირების მეშვეობით. გარდა ამისა, პროგრამების ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ისინი რეგულარულად ატარებენ ამ შედარებებს, რათა შეინარჩუნონ პროგრამის აქტუალობა და კონკურენტუნარიანობა აკადემიურ ლანდშაფტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიშები,
- სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და მათი ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების (PLO) შეფასების მექანიზმები;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კლასტერში მოცემული პროგრამების ანალოგებთან შედარება;
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში, VI საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში, VII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში, VIII საფეხური

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა მენეჯმენტში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში) | X | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა მენეჯმენტში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენემჯმენტში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო მარკეტინგში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში) | X | ☐ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

პროგრამა 1. „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამა 2. „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, VI საფეხური

პროგრამა 3. „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა VII საფეხური

პროგრამა 4. „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, VII საფეხური

პროგრამა 5. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა VIII საფეხური

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| შინაარსი<br><br>სტანდარტი | 1. საგანმანათლებ ლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება | 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალუ რი მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფ ა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებ ი |
|---|---|---|---|---|---|
| „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 240 ECTS | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან |
| „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 240 ECTS კრედიტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან |
| „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 ECTS კრედიტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან |
| „საერთაშორისო მარკეტინგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 ECTS კრედიტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამა 40 ECTS კრედიტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გეორგ კოპფი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა გეგეშიძე

დევი შონია

მედეა ჭელიძე

გიგა ხოსიტაშვილი

მარიამ ბურმისტროვა